# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 21 მარტი, 2014 წელი.

№56 (7437)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ევროპა რუსეთთან უძლურია ②

## არის თუ არა ყირიმის მიერთება პრეცედენტი ცხინვალისთვის?

## „ბენდუქიძეს მისაკუთრებული ქონება უნდა ჩამოერთვას და აგრობიოლოგიური განათლებისა და მეცნიერების აღორძინებას მოხმარდეს“ ③



## რამ გააწიწმატა პამპულები ⑦

## ოპოზიციური წინასაარჩევნო ალიანსები და რუსული ფულის სიბლი ⑤



## ძნელია პუტინობა,

ანუ რა გამოწვევებია რუსეთის პრეზიდენტის წინაშე ⑧

## „მაზანდარანელი ⑩ ვეფხვის“ რაჭველი მომთვინიერებელი



გურამ სალარაძე – 75

## მაია ნიკოლეიშვილი: გვამეზს მოწამვლის ლაქები ④ არ ეტყობათ, რაც სერიოზულ ეჭვს ბადებს

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ალიან-ჩალიანი

## პრემიერი იეზიდებს ახალი წლის დღესასწაულს ულოცავს

**საქართველოს** პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყანაში მცხოვრებ იეზიდებს ახალი წლის დღესასწაულს ულოცავს. აღნიშნულთან დაკავშირებით პრემიერის პრესსამსახური განცხადებას ავრცელებს.

— საქართველოში მცხოვრებ იეზიდ ხალხს ვულოცავ ახალი წლის დღესასწაულს — „კლოჩე სარე სალეს“. ეს უძველესი დღესასწაული გაზაფხულის დადგომის, აღორძინების, რწმენის სიმტკიცისა და ტრადიციების განახლების სიმბოლოა. მშვიდობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს თქვენს ოჯახებსა და ჩვენს ქვეყანაში, — მიმართავს ღარიბაშვილი იეზიდ მოსახლეობას.

## ქართველ სამხედროთა მორიგი ნაკადი ავღანეთში გააცილეს

**როგორც** საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან იტყობინებიან, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთის საერთაშორისო მისიაში გასამგზავრებლად მზად არიან. ვაზიანის IV მექანიზირებული ბრიგადის ბაზაზე I ქვეითი ბრიგადის მე-13 ბატალიონის გაძლიერებული ოცეულის, სამთო-სადაზვერვო და II ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონების ავღანეთში ISAF-ის მისიაში გაცილების ცერემონიალი გაიმართა.

საზეიმო ცერემონიალს დაესწრნენ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე, აშშ-ის ევროპული სარდლობის საზღვაო ქვეითი ძალების მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი რიჩარდ ტრაიონი. სტუმრებს შორის იყვნენ აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სამხედრო მეკავშირე ოფიცერი, პოლკოვნიკი მაქსიმილიან ედერი და საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი პირები.



ქართველ სამხედროებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მიესალმა და მათ სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

ქართველ სამხედროებს სიტყვით მიმართა ასევე, გენერალ-ლეიტენანტმა რიჩარდ ტრაიონმა.

## კომპანია „თი-ვი ემ-არ საქართველომ“ საქმიანობა დროებით შეაჩერა

**ამის** შესახებ განცხადება კომპანიის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

„თავს ვალდებულად ვთვლით, შეგატყობინოთ, რომ ჩვენი კომპანია იძულებულია, დროებით შეაჩეროს საქმიანობა. ამის მიზეზი არსებითად ორია: პირველი — ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის გვიან ღამით დაკითხვებმა ჩვენს ოფისში, 5 და 7 პირის/გამომძიებლის მუდმივმა ყოფნამ ჩვენს ოფისში, ყველა ოთახში, დოკუმენტაციის მუდმივმა თვალიერებამ, უბრალოდ გაუსაძლისი პირობები შექმნა. თანამშრომლები არიან დათრგუნულები, თითოეული მათგანი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ცდილობდა, ყველაფერი გაეკეთებინა, რომ სამუშაო პროცესი არ შეჩერებულიყო, მაგრამ, ეს ყველაფერი ჩვენს ადამიანურ ძალებს აღემატება.

ამას გარდა, ჩვენმა ცხრა მოდემმა ათიდან შეწყვიტა ფუნქციონირება, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო. დღეს ტესტები უჩვენებს, ჩვენი მოდემი ფუნქციონირებს გამართულად, და ტექნიკური პრობლემა ჩვენს ოფისს მიღმაა. წინასწარ, პრობლემის სრულად გააზრებისა და შესწავლის გარეშე არ გვსურს, ეს პრობლემა ვინმეს დავაბრალოთ, ამიტომაც, როგორც კი გაირკვევა პრობლემის ნამდვილი შინაარსი, ამის შესახებ სრულად შეგატყობინებთ.

ამ ორი მიზეზის გამო, იძულებული ვართ შეგატყობინოთ, რომ ოფისი აჩერებს თავის საქმიანობას, რასაც გულისტკივილით გატყობინებთ. თუმცა, გაძლევთ პირობას ტექნოლოგიური და დამოუკიდებელი სატელევიზიო აუდიტორიის კვლევა იარსებებს საქართველოში, საქმიანობას გავაგრძელებთ იმ დღიდან, როცა დასრულდება შემოსავლების სამსახურის მიერ ჩვენი კომპანიის შემოწმება იმ ფორმებით, როგორითაც ის ხორციელდება დღეს, და როცა გვექნება ფიზიკური შესაძლებლობა ჩვენს პარტნიორ ოჯახებთან განვაახლოთ ნორმალური ყოველდღიური ურთიერთობა, — ნათქვამია განცხადებაში.

სხვა გაზეთიდან

# ევროპა რუსეთთან უძლურია

**ვლადიმერ პუტინს თვითკმაყოფილების ყველა საფუძველი აქვს. ევროპელების რეაქცია რუსეთის პრეზიდენტის დანაშაულზე ყირიმში მინიმალური იყო. მოსკოვმა მიითვისა უკრაინის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნაწილი, მაგრამ ევროპამ საჭიროდ არ მიიჩნია, რამე ეღონა. ძალიან სახიფათო სიტუაცია იქმნება.**

სანქციების პირველ ტალღას ევროკავშირის 28 წევრის მხრიდან, რომელიც მოიცავს ვიზების და ინვესტიციების შეჩერებას, 17 მარტს მეორე მოჰყვა. მაგრამ ისიც კოსმეტიკური ხასიათისაა. ყველაფერი დაყვანილია კონკრეტულ ზომებამდე 21 ადამიანის მიმართ. ესენი არიან რუსი დეპუტატები და სამხედროები, ასევე კრემლის მიერ ხელდასხმული ყირიმის ახალი ხელისუფლება. აშშ ამ გზაზე ოდნავ შორს წავიდა, მიიღო რა ზომები პუტინის უშუალო გარემოცვის ადამიანთა წინააღმდეგ.



როგორც ეს საგარეო პოლიტიკაში ხშირად ხდება, ბრიუსელში მიღებული გადაწყვეტილება განსხვავებულ მოსაზრებათა საერთო ნიშნულად იქცა. სამხრეთ ევროპა საბანს ერთი მიმართულებით ქაჩავდა (არაფერი რუსეთის საწინააღმდეგო), ჩრდილოეთ ევროპა კი აბსოლუტურად სხვა მხარეს (მკაცრი პოზიცია პუტინთან დიალოგში). გერმანია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი სადღაც შუაში აღმოჩნდნენ და მკაფიო არჩევანი ვერ გააკეთეს.

სიტუაციაში, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს პარამეტრები, რომელთა გაუთვალისწინებლობა უბრალოდ არ შეიძლება. ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულ გაზზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, რუსეთი, სადაც ფაქტობრივად არაფერს არ აწარმოებენ ჰიდროკარბონის, იარაღის და არყის გარდა, შესანიშნავი ბაზარია ევროპელი ექსპორტიორებისათვის.

შედეგად, უკვე მეორედ საქართველოს შემდეგ, 2008 წელს რუსეთმა ძალით შეცვალა საზღვრები ევროპაში, და ეს მნიშვნელოვან ფასადაც კი არ დაუჯდა. ეს ყველაფერი ევროპელებს იმისკენ უბიძგებს, რომ დღეს, როგორც მინიმუმ, მტკიცედ დადგნენ კიევის მხარეს.

ყირიმი, ისტორიულადაც და მოსახლეობის თვალსაზრისითაც, დიდწილად მართლაც რუსული მიწაა. მაგრამ ძალისმიერი გადატრიალება მაინც გადატრიალებაა, იმ შემთხვევაშიც, თუკი მას რეფერენდუმით ამყარებენ. შიშველი ფაქტები მოგვითხრობს უსიამოვნო სინამდვილეზე: რუსეთმა უარი უთხრა უკრაინას უფლებაზე დამოუკიდებლად აირჩიოს სავაჭრო ალიანსები, შემდეგ კი დასაჯა ის, ძალით წაართვა რა ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი.

საქმე ეხება 1994 წელს მოსკოვის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების დარღვევას უკრაინული საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ. ეს ყველა საერთაშორისო წესს ეწინააღმდეგება. დაბოლოს, ყველაფერი ნაციონალიზმის აღზევების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, რომელსაც კრემლი მხარს უჭერს ხელისუფლების სამსახურში მყოფი მედიის დახმარებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ის ცდილობს საზოგადოებრივი აზრის მომზადებას ახალი სამხედრო ავანტიურებისათვის, მაგალითად, უკრაინის აღმოსავლეთით, რუსულენოვან რეგიონებში.

ევროკავშირის თქმით, ის ცდილობს მოსკოვთან დიალოგის შესაძლებლობის შენარჩუნებას უკრაინის მომავალზე. თუმცა, კრემლმა ასეთი სირბილე შეიძლება სისუსტის ნიშნად აღიქვას. ამიტომ ევროპამ შეიძლება თავად უბიძგოს პუტინს უკრაინის შემდგომი დანაწევრებისაკენ.

le Monde

ცუდი მაგალითი გადამდებია

# არის თუ არა ყირიმის მიერთება პრეცედენტი ცხინვალისთვის?

**რუსეთის მიერ ყირიმის და სევასტოპოლის მიერთებამ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის პრორუსულად განწყობილ პოლიტიკოსებში გააჩინა იმედი, რომ ეს პრეცედენტი დე ფაქტო რესპუბლიკისთვისაც გამოყენებული იქნება.**

ორიოდე თვის წინათ დე ფაქტო რესპუბლიკის ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, „ედინაია ოსეტიამ“ და მისმა ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა, საპარლამენტო არჩევნების პარალელურად, რუსეთის ფედერციაში გაერთიანების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვეს, თუმცა, ამ იდეას ცხინვალში მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, რომლებიც ფიქრობენ, რომ სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობა ბრძოლით მოიპოვა და მასზე უარის თქმა წარმოუდგენელია.

რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებას თავიდან მხარს თიბილოვის ხელისუფლებაც უჭერდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებს კრემლის კურატორმა ვლადისლავ სურკოვმა გასაგებად მიანიშნა, რომ რუსეთი ამ საკითხზე არ ფიქრობდა, ცხინვალში დისკუსია შეწყდა. პუტინის გუშინდელმა გადაწყვეტილებამ კი დე ფაქტო რესპუბლიკის საპარლამენტო არჩევნების წინ ადგილობრივ პოლიტიკოსებს კიდევ ერთხელ შეახსენა რეფერენდუმის ჩატარების იდეა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „შენი არჩევანი — ოსეთი“ ლიდერი ალან ჯუსოევი მიიჩნევს, რომ ყირიმის ვარიანტი სამხრეთ ოსეთს რუსეთის ფედერაციაში გაერთიანების საშუალებას მისცემს. ჯუსოევის განცხადებით, სამხრეთ ოსეთში სხვადასხვა ფორმატით გამართულ არაერთ შეხვედრისას გამოითქმოდა აზრი, რომ რუსეთთან შეერთების მექანიზმი არ არსებობს და, ამასთან, ეს მოსკოვისთვის დიპლომატიურად მომგებიანი არ იქნებოდა. „მაგრამ ყირიმის პრაქტიკამ აჩვენა, რომ მექანიზმი საკმაოდ სწრაფად შეიქმნა და ეს ჩვენთვის პრეცედენტია“, — აცხადებს ალან ჯუსოევი. მისივე თქმით, რუსეთთან შეერთებაზე სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმი უკვე ორჯერაა ჩატარებული და ამიტომ შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს რუსეთის პრეზიდენტისთვის მიმართვა, რომელსაც პარლამენტის ორივე პალატა განიხილავს. ჯუსოევის შეფასებით, რუსეთის ფედერაციაში ორი ოსეთის გაერთიანება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა იქნება.

განსხვავებული მოსაზრება აქვს ცხინვალელ პოლიტოლოგს დინა ალბოროვას. ჩვენს რადიოსთან საუბარში იგი ამბობს, რომ ყირიმის ვარიანტს ადგილობრივი პოლიტიკური ძალები წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენებენ, მაგრამ აქ მთავარი იქნება არა პარტიული ინტერესები, არამედ რუსეთის პოზიცია. დინა ალბოროვას განცხადებით, დღეს არ არსებობს რუსეთთან სამხრეთ ოსეთის შეერთების აუცილებლობა, რადგან რუსეთის წყალობით რესპუბლიკის უსაფრთხოება უკვე დაცულია და,




ამასთან, მოსკოვი ჯერჯერობით არ არის დაინტერესებული სამხრეთ ოსეთის შეერთებით.

კონფლიქტოლოგი ზურაბ ბენდიანიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთის შეერთებას არ იჩქარებს და ნატოს სამიტს დაელოდება. გარდა ამისა, მისი აზრით, ფედერაციასთან ინტეგრაციის მიმართ სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ყირიმში უკვე გაგზავნა მილოცვის წერილები. ჯერჯერობით უცნობია, მიმართავს თუ არა თიბილოვის მთავრობა ვლადიმირ პუტინს სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში გაერთიანების თხოვნით. ამ თემაზე დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტშიც იმსჯელებენ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კი უახლოეს დღეებში კიდევ არაერთი დისკუსია გაიმართება.

**გოგა აფციაური**
**რადიო „თავისუფლება“**

ინფორმაცია

## გაიზარდა მცირეკომლიანი სოფლების დაფინანსება



**როგორც** „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან იტყობინებიან, იმ სოფლებისთვის, რომელთა მოსახლეობა 50 ადამიანზე ნაკლებია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება წელს 1 102 000 ლარით გაიზარდა. ამის თაობაზე გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის სხდომაზე იქნა მიღებული. საკითხი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოამზადა.

დღეისთვის, მცირეკომლიანი 551 სოფელია ახმეტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში.

მთავრობის გადაწყვეტილებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2014 წელს 49 951 407 ლარი გამოიყო.

№56. პარასკევი, 21 მარტი, 2014 წელი.



**18 მარტს მთავარ პროკურატურაში დაკითხეს (დაკითხვა მთელი 11 საათი მიმდინარეობდა) ყოფილი ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე. დაკითხვა აგრარული უნივერსიტეტის უძრავი ქონების პრივატიზების საქმის გარშემო წარიმართა.**

**ნაცების ხელისუფალთა მიერ აგრარული უნივერსიტეტის უმდიდრესი ქონების, როგორც იტყვიან, კაპიკებში გასხვისება, ფაქტობრივად ბენდუქიძისთვის მუქთად გადაცემა, აღელვებს საზოგადოებას, ამიტომ იგი კმაყოფილებით შეხვდა მთავარი პროკურორის მიერ ამ საკითხზე გამოძიების დაწყებას.**

**ჩვენ დავუკავშირდით აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს, სოფლის მეურნეობის ცნობილ სპეციალისტს, საქართველოსა და რუსეთის სასოფლო-სამეურნეო აკადემიების ნამდვილ წევრს, პროფესორ ნაპოლეონ ქარქაშაძეს და აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.**

# „ბენდუქიძეს მისაკუთრებული ქონება უნდა ჩამოერთვას და აგრობიოლოგიური განათლებისა და მეცნიერების აღორძინებას მოხმარდეს“

**— ბატონო ნაპოლეონ, ბენდუქიძე პროკურატურაში რამდენჯერმე დაიბარეს, მას, ჩემი აზრით, სერიოზული მძიმე ბრალდება აქვს წაყენებული: თაღლითობის გზით, აგრარული უნივერსიტეტის და 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქონება მიზერულ თანხად ჩაუგდია ხელში. გარდა ამისა, დღეს აღარც აგრარული განათლებაა და აღარც სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება. თქვენ დიდი ხნის მანძილზე ორი უმაღლესის, მათ შორის, „აგრარულის“ რექტორი იყავით და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტიც. რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?**

— თუ გახსოვთ აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც ახალი ხელისუფლების მოსვლიდან რამდენიმე თვეში დაიწყო? სკანდალი მაშინ, როგორც მე გავიგე, თვითონ ბენდუქიძემ ააგორა. ავტორიზაცია უმაღლესი სკოლის საქმიანობის უმნიშვნელო ელემენტია, ბენდუქიძემ მაშინ განათლების სამინისტროს სტუდენტობა დაუპირისპირა და მინისტრს, თუ არ მეშლება, ბოდიშიც კი მოახდევინა. ამ სკანდალიდან მან გადაფარა ის დანაშაული, რომელიც სააკაშვილთან ერთად ჩაიდინა, რასაც არა მარტო აგრობიოლოგიური განათლება და მეცნიერების განადგურება მოჰყვა, არამედ მთლიანად ჩამოიშალა ერთ დროს საათივით აწყობილი საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემა. თუმცა, ამ პროცესის შედეგად ორივემ მილიონები მიითვისეს.

**— მახსოვს 2004 წელს, სააკაშვილმა თქვენ იმისთვის, რომ თავის დროზე სარეკომენდაციო წერილით მიმართეთ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, 100 დღეზე მეტი გაყურყუტათ ციხეში. თუ არ ვცდები, გედავებოდნენ, რომ შევარდნაძე შეცდომაში შეიყვანეთ და ბიუჯეტი 30000 ლარით აზარალეთ, მერე კი თავადვე 200 მილიონამდე დოლარის ქონება აჩუქა ბენდუქიძეს?!..**

— ერის დაჩლუნგების ერთ-ერთი მეთოდია, საზოგადოების მოაზროვნე, ავტორიტეტული ადამიანებისთვის ჩირქის მოცხება, მათი ჩაწიხვლა, დაპატიმრება. ჩემი და ჩემნაირების დაპატიმრებით სააკაშვილმა და მისმა ხროვამ არა მარტო საზოგადოებაში დათესა დიდი შიში, არამედ საზოგადოების ის ნაწილიც დააფრთხო და გაანეიტრალა, რომელსაც მე მივეკუთვნებოდი, აი სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მეცნიერებისა და განათლების „გაბახება“ და ხმაც კი ვერავინ ამოიღო. დღეს ქართული მეცნიერება საერთოდ აღარ არსებობს, ხოლო უმაღლესი განათლების დონე, ყოველ შემთხვევაში, წინათ არსებულ პროფტექნიკური განათლების დონეზე დაბლა დაეცა. ხოლო ის, რაც აგრარულ უნივერსიტეტს დამართეს, ძალიან დიდი კრიმინალია და აუცილებლად უნდა გამოიძიონ.

**— რატომ გააკეთა ეს სააკაშვილმა? ვითომ რა მოიგო ამით ქვეყანამ?**

— ჩვენ მაშინაც ვხვდებოდით, თუ რა მისიით იყო ქვეყნის პრეზიდენტად მოვლენილი სააკაშვილი. გვახსოვს მისი უსახური, კურდღლებივით შეშინებული მთავრობა და პარლამენტის წევრები, რომელთა ნაწილმა მხოლოდ დღეს ამოიღო ხმა და პარლამენტში უტიფრად ყელყელაობს. სააკაშვილს ერის დაჩლუნგება ჰქონდა დავალებული და ამას მხოლოდ მისი ინტელექტუალური ნაწილის მოსპობა-გაბითურებით შეძლებდა — ეს დავალება მან მაღალპროფესიულ დონეზე შეასრულა. გარდა ამისა, ალბათ გახსოვთ, როგორ დაანგრია ქართული ეკონომიკა ბენდუქიძემ, რომელიც მხოლოდ ამ მისიით იყო გამოგზავნილი რუსეთიდან. მაგრამ თვითონ და ხელისუფლებაში მოკალათებულმა გარეწრებმა კი ამ პროცესებით ბევრი იხეირეს. აგრარული უნივერსიტეტი და აგრარული განათლება, ამ დანაშაულებრივი სქემის მხოლოდ ერთი ეპიზოდია.

**— თქვენ 14 წელიწადი იყავით აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, ცუდი პერიოდი იყო მაშინ: სამოქალაქო დაპირისპირებები, კრიმინალების უკონტროლო პარპაში, უფულობა, უტრანსპორტობა, სიცივე და რა ვიცი კიდევ რა... მაშინდელმა რექტორებმა მაინც მოახერხეს და შეინარჩუნეთ არა მარტო კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი, არამედ მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც, ტერიტორიები, საუნივერსიტეტო ქონება, ასეთ პირობებშიც ახერხებდით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას...**

— მერე რა მივიღეთ? მხოლოდ ლანძღვაგინება, რომელსაც საზოგადოების გარკვეული ნაწილიც აჰყვა. სამწუხაროდ, ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულება დღემდე გრძელდება. ჩემი დაპატიმრების საქმე ახალმა ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი განცხადებაა შეტანილი თითქოს ყველა ინსტანციაში, არა თუ გამოიძია, ბოდიშიც კი არავის მოუხადა. თუმცა, ეს სხვა თემაა.

**— გახსოვთ თქვენი რექტორობის შემდეგ, რა დატოვეთ აგრარულ უნივერსიტეტში?**

— მოდით ასე ვთქვათ: რა დახვდა ბენდუქიძეს, როდესაც მან ხელში ჩაიგდო აგრარული განათლება და მეცნიერება!

დავიწყოთ იმით, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში 140-მდე სასოფლო-სამეურნეო პროფილის ინსტიტუტი ფუნქციონირებდა, აქედან სამი — საქართველოში: ორი თბილისში — „სასოფლო“ და „ზოოვეტი“, ხოლო ერთი სოხუმში — „სუბტროპიკული“. სამივე მათგანი აღჭურვილი იყო, უახლესი კაბინეტ-ლაბორატორიებით, ჰქონდათ ძალიან ძლიერი მატერიალური ბაზა, სასწავლო-სამეცნიერო მეურნეობები, ექსპერიმენტული გადამმუშავებელი საწარმოები და ა. შ. საბჭოთა სივრცეში მოქმედ 140 ინსტიტუტს შორის, საქართველოში არსებული ინსტიტუტები, თავისი მაჩვენებლებით, ყოველთვის წამყვან ათეულში იყვნენ. სამივე მათგანი მაღალი რანგის საკავშირო თუ უცხოელი სტუმრების საჩვენებელი ობიექტი იყო და ა. შ.

ამიერკავკასიაში, სასოფლო-სამეურნეო განათლების პირველი კერა — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 1929 წელს დაარსდა, მისი პირველი რექტორი მსოფლიო დონის მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი იყო. 1991 წელს გადაკეთდა აგრარულ უნივერსიტეტად ამას წინ უძღოდა სერიოზული პროცედურები. მეამაყება, რომ ეს ჩემი რექტორობის დროს მოხდა.

დღევანდელი გადასახედიდან მიკვირს, თუ როგორ შევინარჩუნეთ მაშინდელმა რექტორებმა მატერიალური ბაზები, რომლებზეც პირდაპირ ნადირობა ქონდათ გაჩაღებული როგორც „შარაგზის“, ასევე ხელისუფლებაში მოკალათებულ ყაჩაღებს. მახსოვს, უნივერსიტეტში მხედრიონელების, გვარდიელების, სოკოებივით მომრავლებული „საძმოების“, სამთავრობო სტრუქტურებში მოკალათებული ავანტიურისტების შემოტევები. მახსოვს, სამოქალაქო ომის დროს უნივერსიტეტში სადღეღამისო მორიგეობები, შიშველი ხელებით როგორ ვიცავდით საუნივერსიტეტო ქონებას. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ყველა იმ თანამშრომელსა და სტუდენტს, რომლებიც მაშინ მხარში გვედგნენ.

დღესაც მაოცებს პედაგოგიური პერსონალის საქმისადმი ერთგულება. ყოფილა შემთხვევა, როდესაც შიმშილისგან ძალაწართმეული პროფესორი აუდიტორიაში წაქცეულა. მახსოვს ბიზნესმენებმა ხვთისიაშვილმა (რომელიც დღეს ცოცხალი აღარაა) და ზურაბ ტყემალაძემ სტუდქალაქის სასადილოზე შეფობა აიღეს და შეძლებისდაგვარად ამარაგებდნენ მას პროდუქტით, სხვანაირად, ალბათ, არც შეიძლებოდა, ისინი ხომ ჩვენი კურსდამთავრებულები იყვნენ. შემდეგ მათ მაგალითს სხვებმაც წაბაძა და ასე ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით, როგორღაც გადავრჩით, მეამაყება ისიც, რომ იმ პერიოდში უნივერსიტეტიდან ერთი სკამიც კი არ დაკარგულა.

ახლა იმაზე თუ რა ქონება წაგლიჯა სახელმწიფოს ბენდუქიძემ. მან უნივერსიტეტს რამდენიმე ასეულობით მილიონის ქონება თითქმის მუქთად ჩაიგდო ხელში. ეს ქონება შედგებოდა 974230 კვადრატული მეტრი მიწის ფართობისგან, რომლის საერთო ღირებულება, მთავრობის გაანგარიშებებით, 4 მილიონი დოლარის ეკვივალენტია ლარებში, რომელიც ბენდუქიძემ 2 წლის განმავლობაში უნდა დაფაროს. რეალურად კი ამის ღირებულებაა 194,8 მილიონი დოლარი, რაც საბაზრო ფასზე 50-ჯერ ნაკლებია. უნიკალური სასწავლო კორპუსის საერთო ფართი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 20 ათას კვ. მეტრამდე იყო. იმ დროისთვის გვქონდა უნიკალური სასწავლო ლაბორატორია-კაბინეტები, კომპიუტერული ცენტრი, უნიკალური მიწის ფონდები, მეაბრეშუმეობის, გეოლოგიური მუზეუმები, რომელთა ნაწილიც მთავარი კორპუსის ფოიეებში იყო განლაგებული, მექანიზაციისა და მელიორატორების სასწავლო პოლიგონები, 60 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი, უნიკალური ვაზის საკოლექციო ნაკვეთი, მთავარი კორპუსის წინ და უკან მსოფლიოს ენციკლოპედიაში შესული დენდროლოგიური პარკები და სხვ., რომლებიც დღეს განადგურებულია. ახლახან გავიგე, რომ დენდროლოგიურ პარკსაც მიადგნენ და მის განადგურებასაც აპირებენ. „სხვაგან გადავიტანთო“, განაცხადა თინეიჯერმა რექტორმა.



მახსოვს, ცნობილი ბიზნესმენი და მეცენატი ბუბუტეიშვილი მეხვეწებოდა, მისთვის ერთი ცალი ნაძვის უნიკალური ჯიშის დათმობას... მიუხედავად დიდი პატივისცემისა, ეს ვერ შევასრულე და ცხადია მანაც გამიგო... მთლიანად იმ ქონების ღირებულება, რაც გადაეცა ბენდუქიძეს, შეადგენს 280 მილიონ დოლარს, ბენდუქიძემ კი თანხმობა განაცხადა მხოლოდ 4 მილიონის გადახდაზე, თანაც განვადებით 2 წლის განმავლობაში.

**— რა ბედი ეწია იმ სპეციალობებს, რომლებიც თქვენს დროს იყო?**

— ჩემს დროს 8 ფაკულტეტზე 29 სპეციალობა იყო წარმოდგენილი, თუ ამას დავუმატებთ „სუბტროპიკულის“ და „ზოოვეტის“ სპეციალობებს, 30-32-მდე ავალთ, დღეს, ჩემი ინფორმაციით, „აგრარულში“ დატოვებულია სულ 4 თუ 5 სპეციალობა, დღემდე უცნობია ის 400 ათასამდე სტუდენტი (როგორც თვითონ ამბობენ) რას სწავლობს.

**— როგორც ამბობენ, ბენდუქიძემ ასევე ხელში ჩაიგდო აგრარული მიმართულების კვლევითი ინსტიტუტები?!**

— საქართველო თავისი უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, მოითხოვს მრავალპროფილიან კვლევას, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ 1954 წელს მოკავშირე რესპუბლიკებიდან მხოლოდ საქართველოსა და უკრაინაში შეიქმნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიები. ჩვენ ძალიან ძლიერი მეცნიერული სკოლა გვქონდა. როდესაც მე აკადემიის პრეზიდენტად ამირჩიეს, სისტემაში 17 კვლევითი ინსტიტუტი გვქონდა, თავიანთი შენობებითა და მატერიალური ბაზით, საცდელი მეურნეობები და ნაკვეთები, გადამმუშავებელი საწარმოები (ღვინის და კონსერვის ქარხნები, ჩაის ფაბრიკები), მექანიკური ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა გამოცდის პოლიგონები და ა. შ. აკადემიის სისტემაში 1900 კაცი მუშაობდა, რომელთა შორის 800-მდე მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი იყო. გვქონდა ასპირანტურა და დისერტაციების დაცვის საბჭოები და ბევრი სხვა სიკეთე. ყველაფერი ეს ჯერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „წაგვართვა“, ცოტა ხნის შემდეგ კი ბენდუქიძეს „უფეშქაშა“ (ცხადია, ასეთივე ბედი ეწიათ ეროვნული აკადემიების ინსტიტუტებს). ბენდუქიძემ კი კვლევითი ინსტიტუტების ქონება ისე მოიხმარა, როგორც მეპატრონემ, ზოგი გაყიდა, ზოგს პროფილი შეუცვალა და ა. შ. ქონების ხელში ჩაგდების შემდეგ მან 1000-მდე ცნობილი პროფესორ-მასწავლებელი გაათავისუფლა სამსახურიდან, სამაგიეროდ, განთავისუფლებულთა მაგივრად დაასაქმა „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ბაკალავრიატის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

**— მერე საზოგადოება რატომ არის ჩუმად, ახლა მაინც რატომ არ იღებს ხმას?**

— სადღაა საზოგადოება? ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ინერტული მასა ვართ და ისევ საღათას ძილში ვიმყოფებით. განა ეროვნებაწართმეული, მამაპაპურ ადათწესებდავიწყებული, ცხოვრებისეული ინტერესების დამკარგველი ადამიანები შექმნიან საზოგადოებას? დააკვირდით, ამ საუბარს რამდენი გამოეხმაურება. ალბათ თითო-ოროლა. არადა სატკივარი დიდია.

**— რა პერსპექტივა გაქვთ, რა იქნება?**

— საქმე რა არის იცით? „ისინი“ მოსული იყვნენ ნგრევისათვის, ქართული გენის ამოძირკვისათვის და ამას არა მარტო მონდომებით, არამედ პროფესიულად აკეთებდნენ. „ესენი“ მჯერა, რომ სასიკეთო საქმეების საკეთებლად არიან მოსულები, მაგრამ არ იციან, როგორ გააკეთონ ეს... დავიტოვოთ იმედი, რომ ისწავლიან, სხვა რა გზა გვაქვს?

**— როგორ ფიქრობთ, კანონი ბენდუქიძეს პასუხს მოჰკითხავს?**

— ბენდუქიძეს უნდა მიუსაჯონ, მაგრამ ციხეში კი არ უნდა ჩასვან მას უნდა ჩამოართვან ყველაფერი, რაც მიიტაცა და ის, რაც ყველაზე ძალიან უყვარს — ფული, არა 100 ან 200 ათასი, არამედ 100 მილიონზე მეტი და ეს ფული უნდა მოხმარდეს აგრობიოლოგიური განათლების და მეცნიერების აღორძინებას. ეს იქნება ყველაზე სამართლიანი!

**ესაუბრა**
**სანდრო ალექსიძე**

◎ მოიწამლა თუ მოკლეს?

# მაია ნიკოლეიშვილი: გვამებს მოწამვლის ლაქები არ ეტყობათ, რაც სერიოზულ ეჭვს ბადებს



**ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმე იყო ერთ-ერთი უმთავრესი, რომლის ხელახლა გამოძიებასაც დღემდე ელის საქართველოს მოსახლეობა. მიზეზთა გამო, საქართველოში ოფიციალური ვერსიის პრაქტიკულად არავის სჯერა და სწორედ ამიტომ, უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა წინა ხელისუფლების თავზე დემოკლეს მახვილივით იყო დაკიდებული. მაგრამ წინა ხელისუფლება ამ ამბავს მშვიდად უყურებდა. ახლა კი, როცა რეალობა შეიცვალა, ჟვანიას საქმე ისევ დამოკლეს მახვილივით კიდია, ოღონდ ახალი ხელისუფლების თავზე და ამომრჩეველი ზუსტ პასუხს ითხოვს კითხვაზე — რა მოხდა 2005 წლის 3 თებერვალს საბურთალოს ქუჩაზე?**

**ინტერნეტით ვიდეო გავრცელდა, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრემიერის გარდაცვალების შემდგომ გადაღებული ფოტოებია განთავსებული. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს ის დაზიანებები, რაც ჟვანიასა და მასთან ერთად გარდაცვლილ რაულ უსუპოვს აღენიშნება და იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ სურათებით რაიმეს მტკიცება ძნელია, ფაქტია - ოფიციალური ვერსია, რომელშიც წერია, რომ ეს ორი ადამიანი ე.წ. CO-თი მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა, უკვე შეიძლება, გამოვრიცხოთ. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ამ მოწამვლის შედეგად გარდაცვლილ ადამიანებს სპეციფიური გვამური ლაქები აღენიშნებათ. სურათებში კი ლაქები აშკარად არ ჩანს. სამაგიეროდ ის ჩანს თვალნათლივ, თუ როგორი დაზიანებები აქვთ გვამებს და ეს მაშინ, როცა ოფიციალურ დასკვნაში დაზიანებებზე პრაქტიკულად არაფერი წერია. ჩვენ ამ თემაზე დამოუკიდებელ ექსპერტს მაია ნიკოლეიშვილს** ვესაუბრეთ.

**— ქალბატონო მაია, გავრცელებული ვიდეო თუ ნახეთ და რისი თქმა შეგიძლიათ?**

— ვიდეო ვნახე და ახლა იმის თქმა ხმამაღლა შემიძლია, რასაც მანამდე ვფიქრობდი. ფოტოებით საუბარი ძნელია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მე არათუ წაკითხული მაქვს ოფიციალური დასკვნა ამ საქმეზე, არამედ ასლები სახლშიც მაქვს. კიდევ ერთხელ გადავამოწმე და იქ არაფერი წერია დაზიანებებზე. ერთადერთი დაზიანება, რომელიც დასკვნაში წერია, არის ნაჭდევი ქვედა ტუჩზე ჟვანიას გვამზე. მეტი დაზიანების შესახებ არაფერია ნათქვამი.

**— არადა, ვიდეოში ჩანს, რომ ჟვანიას თავზეც აქვს დაზიანება.**

— ექსპერტი ვარ და ეჭვებით საუბარი ცოტა ძნელია, მაგრამ რაც ჩანს, გეთანხმებით, რომ ძალიან ჰგავს დაზიანებას. ვერ გეტყვით, თავის დროზე რატომ და რისთვის დაიწერა ის, რომ მხოლოდ ტუჩზე იყო დაზიანება. ყველაზე მეტად ჩემში ეჭვს არა დაზიანებები, არამედ გარდაცვლილების კანის ფერი იწვევს.

**— უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, რას გულისხმობთ?**

— როცა ადამიანი გაზის ნამწვით ან ნებისმიერი სხვა რამით იწამლება (აქვე დავამატებ, რომ ისეთი რამით, რაც ბუნებრივია და არ არის საიდუმლო სამსახურების მიერ შემუშავებული საწამლავი), გვამზე ჩნდება სპეციფიკური ლაქები. დასკვნაში წერია, რომ ეს ორი ადამიანი CO-ს შედეგად გარდაიცვალა, მაგრამ ლაქები არ ჩანს. ეს არის ყველაზე ნიშანდობლივი და დამაფიქრებელი.

**— დასკვნას, რომელიც გაიცა, საკმაოდ კვალიფიციური ექსპერტები აწერენ ხელს და როგორ ფიქრობთ, მათ შეგნებულად იცრუეს?**

— ვერ ვიტყვი, ვინ რატომ, რისთვის, რა საფუძველზე და როგორ ჩაწერა ის, რაც ჩაწერა, მაგრამ ფაქტია, რომ კითხვები არსებობს.

**— სურათებში ჩანს, რომ უსუპოვის პერანგზე სისხლის ლაქაა, შემდეგ კი აქცენტი თითქოს ნანემსარზე კეთდება?**

— სურათებში კი ჩანს, მაგრამ ფოტოებით ძნელია მსჯელობა. ამ სურათებში ისიც ჩანს, თითქოს უსუპოვს ლავიწის ძვალი აქვს ჩამტვრეული. თუ ეს მართალია, მაშინ გვამის ესგუმაცია უნდა ჩატარდეს და იქ გამოჩნდება, ვის რა ჰქონდა მოტეხილი.

**— ამავე ვიდეოში უსუპოვის შარვალი დასვრილია. როცა ადამიანი CO-თი იწამლება, შეუძლია თუ არა გადაადგილება. ისე ჩანს, თითქოს უსუპოვი ფორთხვით მიდიოდა...**

— ესეც ინდივიდუალურია. ორგანიზმზეა დამოკიდებული, ვინ როგორ უძლებს ამას. თითქმის ასი პროცენტით გამორიცხულია ის, რომ ორი ადამიანი ერთდროულად გაითიშოს და ერთდროულად გარდაიცვალოს. არის წინაკლინიკური პერიოდი, რომელიც ყველა ორგანიზმში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. ანუ, ვიღაც შეიძლება ადრე გაითიშოს, ვიღაც 5 ან 10 წუთით გვიან, მაგრამ ერთდროულად გათიშვა პარადოქსია. ამიტომ ჩნდება ეჭვები...

**ეს იყო კვალიფიციური ექსპერტის კომენტარი იმ ვიდეოზე, რომელიც გავრცელდა. რა მოხდა სინამდვილეში საბურთალოს ქუჩაზე, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა სერიოზული ეჭვი არსებობს იმისა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი და რაულ უსუპოვი იქ არ გარდაცვლილან და თუ დადასტურდა თუნდაც ის, რომ ჟვანიას სხეულზე ტუჩის ნაჭდევის გარდა სხვა დაზიანებები მართლაც ჰქონდა, დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ექსპერტიზის დასკვნის გაყალბება ვიღაცას აწყობდა. პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზის დამალვა კი სახელმწიფოში რიგით მოქალაქეს არაფერში სჭირდებოდა.**

ნიკა ასლანიძე



◎ ალიან-ჩალიანი

## ჟვანიასა და უსუპოვის გარდაცვალების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა მურთაზ ზოდელავას სამუშაო ოთახში ინახებოდა

**ყოფილმა** მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ მედიასთან კომენტარი გააკეთა პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაზე, რომლის მიხედვითაც, ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა ყოფილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას სამუშაო ოთახში ინახებოდა.

— ჟვანიას საქმის გამოძიება დასრულდა ჩემს პროკურორად დანიშვნამდე დიდი ხნით ადრე. ჟვანიას საქმეში იყო გარკვეული დელიკატური მომენტები, რის გამოც მისი საქმის ნაწილი ინახებოდა არა მურთაზ ზოდელავას კაბინეტში, არამედ პროკურატურის ყველაზე დაცულ კაბინეტში — მთავარი პროკურორის კაბინეტის სეიფში, — განუცხადა ზოდელავამ ჟურნალისტებს.

ყოფილი მთავარი პროკურორი უწყებაში სწორედ ჟვანიას და უსუპოვის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით დაიკითხება. სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოები სახელწოდებით — სააკაშვილი მკვლელი. ფოტომასალაზე ასახულია საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და მასთან ერთად გარდაცვლილი რაულ უსუპოვის ცხედრები.

გავრცელებული ფოტოების მიხედვით, ცხედრებს სხვადასხვა სახის დაზიანება აღენიშნებათ.

2012 წლის არჩევნების შემდგომ ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ფოტო და ვიდეო მასალა აღმოჩენილ იქნა ყოფილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას სამუშაო ოთახში განთავსებულ სეიფში, საქმისგან განცალკევებით, — ამის შესახებ პროკურორმა ნათია მეზვრიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ეს ბევრ კითხვას ბადებს.

„საზოგადოებას გვინდა, ვაცნობოთ, რომ 2012 წლის არჩევნების შემდგომ ზ.ჟვანიას და რ. უსუპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ვიდეო და ფოტო მასალა აღმოჩენილი იქნა ყოფილი მთავარი პროკურორის მ.ზოდელავას სამუშაო ოთახში განთავსებულ სეიფში, საქმისგან განცალკევებით, რაც ასევე ბადებს ბევრ კითხვის ნიშანს. მიუხედავად მომხდარისა, მთავარი პროკურატურა ინტენსიურად განაგრძობს საქმის გამოძიებას და ძალისხმევას არ დაიშურებს, ზ.ჟვანიას და რ. უსუპოვის გარდაცვალების მიზეზების დასადგენად, — განაცხადა პროკურორმა.

რაც შეეხება გავრცელებულ ჟვანიასა და უსუპოვის ცხედრების ფოტოებს, როგორც პროკურატურაში აცხადებენ, ეს ემსახურება ერთადერთ მიზანს, რომ ხელი შეეშალოს გამოძიებას.

მეზვრიშვილის თქმით, მოცემულ მომენტში პროკურატურა დგას ზ.ჟვანიას და რ.უსუპოვის გვამების ექსჰუმაციისა და ახალი ექსპერტიზის ჩატარების საჭიროების წინაშე, ვინაიდან საქმის ანალიზით დგინდება, რომ ჩატარებული ექსპერტიზები არასრულყოფილია.

— თავს ვიკავებ ამ თემაზე საუბრისგან. ჩვენ ზუსტად ეს ფოტოები არა, მაგრამ სხვა გვქონდა ნანახი და ეს დაზიანებები რეალურად გვაქვს ნანახი. ეს ადრე არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ რატომღაც მაშინდელი მთავრობის გამოძიების ოფიციალური ვერსია ამას მალავდა. დღეს უკვე ცნობილი ხდება, რომ ჩვენ სიმართლეზე ვსაუბრობდით„ — განაცხადა იაშირ უსუპოვმა.

მისივე თქმით, რაულ უსუპოვს დაზიანებები აღენიშნებოდა ყელისა და გულ-მკერდის არეში.

— ყელის არეში შავი ზოლი ჰქონდა. მკერდის ქვემო ნაწილში ნაჩხვლეტები იყო, რომელიც აქ გამოქვეყნებულ ფოტოებზეც ჩანს. რამდენიმე ადამიანმა ნახა ეს დაზიანებები მიცვალებულის განბანვის პროცესში. გავრცელებულ ფოტოებს რაც შეეხება, საქმის მასალებში დევს თუ არა, არ ვიცი, იმიტომ, რომ მასალებს ბოლომდე გაცნობილი არ ვარ. ზოგი დევს, ალბათ, ზოგი — არა. ესენი უშუალოდ მე, პირველად ვნახე, სიმართლე რომ გითხრათ, — განაცხადა იაშირ უსუპოვმა.

## გურამ ოდიშარია ბიძინა ივანიშვილს უპასუხებს

**საქართველოს** კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია მასთან დაკავშირებით ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს ეხმაურება. გურამ ოდიშარიამ საპასუხო წერილი „ფეისბუქის„ საკუთარ გვერდზე გაავრცელა, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ძალიან ბევრი ადამიანი მიკავშირდება. მეკითხებიან, რა აზრის ვარ ბიძინა ივანიშვილის ტელეინტერვიუზე.

და ასე გადავწყვიტე — რადგან ყველას ცალ-ცალკე ვერ დაველაპარაკები, ჩემს ძველ და ახალ მეგობრებს, ნაცნობებს და უცნობებს Facebook-ით გავესაუბრო. დიდი ხანია, არ მისარგებლია სოციალური ქსელით. სათქმელიც დამიგროვდა. გარდა ამისა, ჩემგან პასუხებს სხვა კითხვებზეც ელოდებიან.

უკანასკნელი ორი-სამი წლის საქართველოზე (მოგვიანებით) რომანის დაწერას ვაპირებდი (დოკუმენტურ-მხატვრულის, ავტობიოგრაფიულის). მაგრამ ვატყობ ჩემს გარშემო მეტად უცნაური სიტუაცია შეიქმნა — ათასი ჭორ-მართალი ირევა პრესაშიც, ტელევიზიებშიც, რადიოში, ფეისბუქზეც, ცილისწამება, შავი პიარი...

ბოლო წლების ჩანაწერები თავზე საყრელად მაქვს. მოკლედ, ჩემს ხელობას ვუხმე და აი, ფეისბუქ-ცნობების (რაღაც დღიურისმაგვარის) წერა დავიწყე. რა თქმა უნდა, ეს არ არის რომანი (რომანი ჯერ შორეული აჩრდილია). ეს ჩემი გულწრფელი ჩანაწერებია მხოლოდ... ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე თითო ამბავს ან თითო თემას მოგაწვდით. გამგონი, ვისაც გაგება სურს, მჯერა, უსათუოდ გამიგებს...

„მე შემიძლია, გითხრათ თამამად, რომ კულტურის მინისტრი არ გადის ძალიან კარგ მინისტრებში“, - ასე ამბობდა ჩემზე ბატონი ბიძინა. რა თქმა უნდა, ვეთანხმები.

კულტურის მინისტრი გადის იმ მინისტრებში, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ განვითარებას. მე დავყავი მინისტრები „ძალიან კარგ“ და „კარგ“ მინისტრებად, ცუდს არ ვეძახი, რადგან მათ გულწრფელად აქვთ სურვილი, დაეხმარონ ქვეყანას და განახორციელონ, რაც ევალებათ საკუთარი პოსტიდან გამომდინარე, მაგრამ არ გამოსდით და ამიტომ ბევრი საჭიროებს განვითარებას... კვლავ ვეთანხმები ბატონ ბიძინას.

„ძალიან დიდ პატივს ვცემ, ძალიან კარგი ადამიანია, ძალიან გულწრფელი“, — ეს ჩემზე თქვა. მადლობას მოვახსენებ, ნეტავ, მართლა ასეთი ვიყო...

მან განაგრძო — „მაგრამ ეს არ ყოფნის ყველაფერ იმას, რომ იყო პროფესიონალი და კარგად გამოგივიდეს ყველაფერი. აკლია მას გამოცდილება, აკლია გადაწყვეტილების მიღების დროულობა“.

ეს ასეც არის ხოლმე. ზოგიერთი მტკივნეული საკითხის გადაწყვეტისას ვჭოჭმანობ, რაც ალბათ, მაღალი რანგის ჩინოვნიკისთვის „შეუფერებელია“.

ცხოვრებისეულმა ბევრმა ტკივილმა ადამიანებისადმი ფაქიზი ურთიერთობები დამავალა (მოეპყარი სხვას ისე, როგორც გინდა, შენ მოგეპყრონ). თუმცა მათი გაფრთხილების გამოცდილება და სახელმწიფო მოხელის მტკიცე, დროული გადაწყვეტილების უნარი ხანდახან მართლაც მაგდებს წინააღმდეგობაში...

ახლა ისეთი განცდა მაქვს, ამ მესიჯში მინდა ყველაფერი ჩავატიო... ფაქტია, სათქმელი დამიგროვდა. დამიგროვდა და მინდა გაგიზიაროთ. შევეცდები (თითქმის ყოველდღე) აღვწერო რა ამბები, რაც გადამხდა ჩემი სამინისტროში მუშაობისას, სად დავუშვი შეცდომა და როდის ვიყავი ჩემი გადაწყვეტილებით კმაყოფილი.

რა თქმა უნდა, იმ თემებზეც ვისაუბრებ, რაც საზოგადოებისთვის კულისებსმიღმურია...

თან გზადაგზა მკითხველთა კითხვებსაც ვუპასუხებ.

მომდევნო თემის სახელწოდება ასეთია — „საყდრისი“, — ნათქვამია გურამ ოდიშარიას წერილში.

# ეგოცენტრულობა





*„საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ და ნინო ბურჯანაძის პარტიამ — „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ — შესაძლოა, კოალიცია შექმნან. ყოველ შემთხვევაში, ამისი შესაძლებლობა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ გიორგი თარგამაძემ არ გამორიცხა (ქდმ-ს თავმჯდომარის მოვალეობას გიორგი ახვლედიანი ასრულებს). კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ ბურჯანაძემ ქდმ-ს ყიდვა მოახერხა.*

*ჟურნალისტების კითხვას, შესაძლოა თუ არა „ქრისტიან-დემოკრატები“ ნინო ბურჯანაძის პარტიასთან კოალიციაში ვიხილოთ, გიორგი თარგამაძემ უპასუხა: „რატომაც არა“. როგორც ჩანს, ნინო ბურჯანაძის მოთხოვნას — ჩემს საარჩევნო სიაში იმათ ჩავწერ, ვინც ჩემს პარტიას შემოუერთდება — ჯერჯერობით მხოლოდ ქდმ გამოეხმაურა. გავრცელებული ინფორმაციით, ბურჯანაძე და ქდმ მერობის პოსტზე არა მხოლოდ ერთიანი კანდიდატით, არამედ, ერთი პარტიითაც გამოვლენ. წინასწარი ინფორმაციით, ბურჯანაძე მერობის პოსტზე ირაკლი ბათიაშვილს ლობირებს.*

*საბოლოოდ რა კონფიგურაციები ჩამოყალიბდება არასაპარლამენტო ოპოზიციურ ფრონტზე, ძნელი სათქმელია. თუკი ისეთმა, რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგიის პარტიებმა მონახეს საერთო, როგორიც ქდმ და ბურჯანაძის პარტიაა, არაფერი აღარ უნდა გაგვიკვირდეს. ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ შესაძლოა, წინასაარჩევნოდ კიდევ ერთ დიდ კოალიციას ჩაეყაროს საფუძველი — ლოგიკურად ეს უფრო მომგებიანი იქნება პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციისთვის, თუმცა, ქართველი პოლიტიკოსების ამბიციებიდან გამომდინარე, რაციონალიზმი ყოველთვის დაჩაგრულ პოზიციაში რჩება ხოლმე.*

*რას აპირებენ კახა კუკავა, „ახლები“ ან ედპ — უცნობია, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ახალი კოალიციის იდეა ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილსაც აქვს, ხოლო შალვა ნათელაშვილი კვლავ მარტო აპირებს ბრძოლას.*

*რა პერსპექტივები შეიძლება ვიხილოთ ოპოზიციურ ფრონტზე ამის შესახებ ექსპერტი* ***რამაზ საყვარელიძე*** *გვესაუბრება.*

# ოპოზიციური წინასაარჩევნო ალიანსები და რუსული ფულის ხიბლი

**— ბატონო რამაზ, იმდენად არაორდინარულ ალიანსზეა საუბარი ქდმ-სა და ბურჯანაძის გაერთიანების შემთხვევაში, რომ ხომ არ არის მოსალოდნელი, წინასაარჩევნოდ ეს ალიანსი ერთ კოალიციად ან დიდ საარჩევნო ბლოკად ვიხილოთ?**

— შეიძლება, ეს იყოს ერთი რგოლი უფრო დიდი გაერთიანებისა იმ პარტიებს შორის, რომლებიც პარლამენტს გარეთ არიან და მაშინ, ამ ნაბიჯს სხვა მნიშვნელობა აქვს. თუ გაერთიანება მხოლოდ ამ ნაბიჯზე დარჩება და მეორე მხარეს დადგება „ქართული დასი“ და „თავისუფალი საქართველო“, მაშინ სხვა მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, თუ ასე ცალ-ცალკე გაერთიანდებიან, მცირე-მცირე ჯგუფებად, არასაპარლამენტო ოპოზიცია გარდა, ხმების გაყოფისა, სხვას ვერაფერს მიიღებს — ერთმანეთის მარცხს შეუწყობენ ხელს.

თუ მთლიანად გაერთიანდა არასაპარლამენტო ოპოზიცია, მაშინ ექნებათ შანსი, მიიღონ იმ ადამიანთა ხმები, რომლებიც უკმაყოფილო არიან როგორც „ნაციონალური მოძრაობის“, ასევე „ქართული ოცნების“. ოღონდ გარდა მათი უკმაყოფილებისა, სასურველია, ამ გაერთიანებამ თავისი პოზიციური იერი ჩამოაყალიბოს ისეთი, რომ მიიზიდოს ხმები, რადგან თითოეულ პარტიას, ცალ-ცალკე არსებულს, დიდი ხანია, უკვე იცნობს ქართული საზოგადოება.

ამიტომ, მარტო გაერთიანება შეიძლება, მიმზიდველი არ იყოს, კიდევ უნდა დაემატოს პლატფორმაში, პოზიციაში, პოლიტიკაში რაღაც სიახლე, განსხვავებული ორი დიდი ჯგუფის, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნებისაგან“.

**— რეალურად რომ ვთქვათ, აქვთ ამ პარტიებს ის პოტენციალი, ალტერნატიული სერიოზული პოლიტიკური ცენტრი რომ შექმნან?**

— საპრეზიდენტო არჩევნებმა გვიჩვენა, რომ მესამე პოლიტიკური ცენტრის პრეტენზია არასაპარლამენტო ოპოზიციას მიკუთვნებულ, ბურჯანაძის პარტიას შეიძლება ჰქონდეს — მისი პირველი პირი, ბურჯანაძე სერიოზული შედეგით გამოვიდა იმ არჩევნებიდან — 10%-ით.

რაც შეეხება იმას, იქნება თუ არა უფრო პროდუქტიული მისი და „ქრისტიან-დემოკრატების“ ალიანსი, ძნელი სათქმელია. შეიძლება პირიქით, ორივემ დაკარგოს ხმები, იმიტომ, რომ მათ ძალზე განსხვავებული ელექტორატი ჰყავდათ. ბურჯანაძის ელექტორატი იყო რადიკალურად ნაციონალების წინააღმდეგი, თარგამაძის ელექტორატი კი ნაციონალების „კოსმეტიკური რემონტის“ მომხრე იყო და ამ გაერთიანებით, შესაძლოა, ორივემ დაკარგოს თავ-თავიანთი ელექტორატის რაღაცა ნაწილი — ამ გაერთიანებაში თითოეული მათგანი რაღაც რისკზე წავა.

**— რაც შეეხება დანარჩენ პარტიებს, მათ შეიძლება ხიბლავდეთ რაღაც, რაც ბურჯანაძისა და ქდმ-ს ირგვლივ გააერთიანებს?**

— გამბედაობა, რადიკალიზმი, ვაჟკაცობა იყო ის ნიშნები, რომლითაც ბურჯანაძემ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიზიდა ხმები. საპრეზიდენტო არჩევნები პერსონებზე, პიროვნებებზე ორიენტირებული არჩევნებია და პიროვნულ თვისებებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ანალოგიური დამოკიდებულება ამ არჩევნებში არ იქნება, რადგან რამდენი საარჩევნო ოლქიცაა, იმდენ პიროვნებაზე იქნება საუბარი, მაგრამ, შეიძლება, რაღაც ზოგადი პლატფორმა შეიმუშავონ ისეთი, რომელიც უფრო მიმზიდველი იქნება საზოგადოებისათვის და რომლის მიმტანი საზოგადოებასთან იქნება ამ გაერთიანების თითოეული წარმომადგენელი. ჯერჯერობით, ასეთი პოლიტიკური პლატფორმა არ ჩანს, არ ვიცი, მოახერხებენ თუ არა.

**— წინა არჩევნების დროს ხშირად ამბობდნენ, რომ ხელისუფლებას მთავარ ოპოზიციურ ძალად ხელს აძლევდა „ნაციონალური მოძრაობა“ და რომ ყველაფერს გააკეთებდა, მის მეორე ადგილზე გასაყვანად. ამ არჩევნებზე რამდენად აწყობს ხელისუფლებას ანალოგიური კონფიგურაცია? თუ მხოლოდ არასაპარლამენტო ოპოზიციის მარიფათზე იქნება დამოკიდებული საკუთარი წარმატება?**

— ადგილობრივ და საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილებს სხვადასხვა წონა აქვს.



საპარლამენტო არჩევნებში ეს დეპუტატების გარკვეულ რაოდენობას ნიშნავს, ადგილობრივ არჩევნებში კი ქვეყნის მასშტაბით პირველი-მეორე ადგილები არაფერს არ ნიშნავს, გარდა პოლიტიკური რეიტინგებისა.

გააჩნია, რა რეგიონებში აიღებ პირველ ან მეორე ადგილს, რამდენად წარმომადგენლობითია ეს რეგიონი და ა.შ. ანუ, ფაქტობრივად, ეს არის რეგიონის მართვის ადგილები და რეგიონებზეა დამოკიდებული, რამდენად მნიშვნელოვანია პირველი, მეორე ან მესამე ადგილის აღება.

მგონია, რომ ხელისუფლების ამოცანა იქნება ყველა დიდ რეგიონში პირველი ადგილის აღება და საკუთარი პოზიციების გამყარება. უფრო წვრილ და ნაკლები დატვირთვის მქონე რეგიონებში ვინ გავა, ამას სახელისუფლებო პოლიტიკური პარტიისთვის არ ექნება მნიშვნელობა.

**— ყველასათვის ცნობილია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები საკმაოდ ღარიბები არიან, არჩევნებში კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსებს. ბოლო პერიოდში საექსპერტო წრეებში არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება, რომ, შესაძლოა, ამ მომენტითაც ისარგებლოს რუსეთმა და საქართველოში თავისი პოლიტიკური გავლენის გაძლიერებაზე იზრუნოს. თქვენი შეფასებით რამდენად რეალური საფრთხეა?**

— თავს უფლებას მივცემ, ექსპერტებს შევეკამათო, რადგან არც ერთ ოპოზიციურ ძალას არ გაუკეთებია რუსეთისთვის ისეთი მოცულობის სამუშაო, როგორიც ხელისუფლებაში მყოფმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააკეთა. მან ტერიტორიების დიდი ნაწილი დაუკანონა, უფრო სწორად, საბაბი მისცა დაეკანონებინა; ბიზნესის დიდი ნაწილი დაუთმო და იმ რიტორიკით, რომ რუსეთს ვებრძვიო, დააფრთხო დასავლეთის ინვესტორები — ესეც დამატებითი ბერკეტი იყო რუსული კაპიტალისთვის გზის გახსნისა საქართველოსკენ. რომელ არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას შეუძლია ეს გააკეთოს?!

**— მათ არ აქვს ასეთი ბერკეტები ხელთ, თუმცა, რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერი ღიად მართავდა რუსეთთან მოლაპარაკებებს და თავიანთ კავშირებს არც მალავენ...**

— ღიად რომ აწამოებდნენ მოლაპარაკებას რუსეთთან, ეს საფრთხეს არ შეიცავს, მაგრამ ღიად რომ არ აწარმოებდა მოლაპარაკებას რუსეთთან და იქცეოდა ისე, როგორც რუსეთს სჭირდებოდა, მოდით, იმ პარტიებს დავაკვირდეთ.

**— თვლით, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა არ შეიძლება გამოიყენონ რუსული ფული?**

— ფული შეიძლება, ყველამ გამოიყენოს, ეგ სხვა საკითხია, მაგრამ რუსული დაკვეთა შეასრულო, ამის უნარი ვის აქვს, შეხედეთ.

**— ვის აქვს? „ნაციონალურ მოძრაობას“, ალბათ, უკვე აღარ — ის აღარ არის ხელისუფლებაში...**

— საკმაოდ დიდი დოზით მაინც აქვს, როგორც იერარქიულად ყველაზე მაღლა მდგომს ოპოზიციაში.

**— რა შეუძლია რომ გააკეთოს?**

— თავისი განცხადებებით სხვა ქვეყნებს მისცეს საფუძველი, რომ აი, წამყვანი პარტიების განცხადებები აძლევთ მათ რაღაც მოქმედების საბაბს... მაგრამ კოლეგებს კიდევ ერთ საკითხში შევეკამათებოდი — მეჩვენება, რომ ძალიან მარტივად ვწყვეტთ რუსეთის საკითხს.

ყველას აქვს იმის განცდა, რომ ვიცით, რა უნდა რუსეთს. რუსეთს უნდა ომი, არეულობა და ა.შ. მოდით, ნუ ვიქნებით ამ შემთხვევაშიც „რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკე“, რადგან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ჯერ თვითონ რუსეთმა არ იცის, რა უნდა.

დავაკვირდეთ ზოგიერთ დეტალს, რომელიც დღეს ხდება რუსულ-უკრაინულ ურთიერთობაში.

პუტინმა, მაგალითად, ორი წლის წინათ გამოაცხადა, უნდა გავუწიოთ ანგარიში მთელი უკრაინული მოსახლეობის აზრსო. ეს ძალიან საინტერესო განცხადებაა იმ თვალსაზრისით, რომ პუტინის გარემოცვიდან საქართველოში მყოფმა რამდენიმე ექსპერტმაც გაუსვა ხაზი, რომ საბოლოო ჯამში, უკრაინის სახელმწიფო მოწყობაზე, მის ფედერალიზაციაზე იქნება ლაპარაკი, მთელი ეს ძვრები მაგისკენ წავაო.

ასე რომ, გამორიცხული არ არის, უკრაინის დღევანდელი მწვავე მდგომარეობის არამწვავე დასასრული შეიძლება აღმოჩნდეს მისი ფედერალური მოწყობა და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ეს მოდელი გადმოვა საქართველოზეც.

გამორიცხული არ არის, რომ ეს იყოს რუსეთისთვის შექმნილი სირთულეებიდან გამოსავლის ერთ-ერთი ფორმა. არ არის გამორიცხული, რომ პუტინმა ამაზე შეაჩეროს არჩევანი და არა მარტო არევაზე, სროლაზე და ა.შ. იმიტომ, რომ ყველა ეს აგრესიული ნაბიჯი მას დასავლეთთან სირთულეებს უქმნის.

თუ ამ მხრივ დავაკვირდებით მოვლენებს, ფორმულა, რომელ ოპოზიციურ პარტიებს ეყრდნობა რუსეთი საქართველოში, შეიძლება ღიმილისმომგვრელი გახდეს.

**— ანუ, შეგვიძლია, ვთქვათ, რუსეთს საქართველოში პოლიტიკური დასაყრდენი არ სჭირდება - ყველაფერი სხვაგან, გლობალურ მასშტაბებში წყდება?**

— როდესაც ასე კატეგორიულად აცხადებ, რომ ეყრდნობა, მაშინ ისიც უნდა იცოდე, რომ ეყრდნობა, რა უნდა. ვიცით, რა უნდა რუსეთს და რას რაში გამოიყენებს?!

**— გამოდის, ოდნავ მოგვიანებით მოიცლის საქართველოსთვის?**

— რა თქმა უნდა. შესაძლოა, ერთ-ორ კვირაში უკვე გამოიკვეთოს.

**— ანუ საქართველოს რუსეთისთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვს და ამიტომ პოლიტიკური გავლენებიც ნაკლებად სჭირდება?**

— ქართველებმა კარგად დავინახეთ და ვინც ვერ დაინახა, მისი პრობლემაა, რომ დასავლეთმა განსხვავებული რეაქცია მისცა საქართველოში და უკრაინაში რუსეთის მოქმედებას. რუსეთის მოქმედება საქართველოს მიმართ გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე უკრაინის მიმართ და დასავლეთის რეაქცია უკრაინასთან დაკავშირებით გაცილებით მძაფრი იყო, ვიდრე საქართველოსთან დაკავშირებით. ასე რომ, ერთი მარტივი დასკვნა გამომდინარეობს - ჩვენ უფრო ნაკლები მნიშვნელობის ვართ, ვიდრე უკრაინა დასავლეთისთვის. თუ დასავლეთისთვის უფრო ნაკლები მნიშვნელობის ვართ, რუსეთისთვის რატომ უნდა ვიყოთ უფრო დიდი მნიშვნელობის, ამაზე არ ვფიქრდებით. თუ საკუთარი თავის გარდა, არაფერზე საუბარი აღარ შეგვიძლია? — ამას ეგოცენტრულობა ჰქვია.

**ლალი ზირაქიშვილი**

**პუტინმა, მაგალითად, ორი წლის წინათ გამოაცხადა, უნდა გავუწიოთ ანგარიში მთელი უკრაინული მოსახლეობის აზრსო. ეს ძალიან საინტერესო განცხადებაა იმ თვალსაზრისით, რომ პუტინის გარემოცვიდან საქართველოში მყოფმა რამდენიმე ექსპერტმაც გაუსვა ხაზი, რომ საბოლოო ჯამში, უკრაინის სახელმწიფო მოწყობაზე, მის ფედერალიზაციაზე იქნება ლაპარაკი, მთელი ეს ძვრები მაგისკენ წავაო.**

**ასე რომ, გამორიცხული არ არის, უკრაინის დღევანდელი მწვავე მდგომარეობის არამწვავე დასასრული შეიძლება აღმოჩნდეს მისი ფედერალური მოწყობა და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ეს მოდელი გადმოვა საქართველოზეც.**




# „მეზობლის“ სინდრომი

**წლების მანძილზე საქართველოს არადამაკმაყოფილებლად განვითარებული ეკონომიკის ერთ-ერთი წარმატებული დარგი, სამშენებლო ბიზნესთან, ჯართის ექსპორტსა და მეორადი ავტომანქანების რეექსპორტთან ერთად, საბანკო სფეროა. სამოქალაქო მშენებლობის დარგში დღესდღეობით რა ამბებიცაა, საზოგადოებას კარგად მოეხსენება. ჯართის ექსპორტი, ცხადია, კვლავაც ხორციელდება, თუმცა კი აშკარად შესუსტებულად— რაც გასაყიდ-გასატანი იყო, ფაქტობრივად, ყველაფერი გაიზიდა. ნახმარი ავტომანქანების რეექსპორტს რაც შეეხება, ეს ბიზნესი ჯერჯერობით კი იფურჩქნება, მაგრამ მეზობელ ქვეყნებში გარემოსდაცვითი მოთხოვნების სამომავლო გამკაცრების ფონზე არც მისი ვარდობისთვეა დღეგრძელი. ამდენად, გვრჩება ერთი საბანკო სექტორი, რომლის მესვეურებმა, რომლებმაც კარგად აუღეს ალღო როგორც თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცხოვრების ცვლილებათა რიტმს და ავანსცენის მთავარ მოქმედ პირებს, ასევე საკუთარი პერსონების საზოგადოებაში ზომიერად წარმოჩენის ტაქტიკას, ყურადღება ეკონომიკის სხვა სფეროებზეც გადაიტანეს, რაც ბოლო ხანებში საკმაოდ სერიოზული ვნებათაღელვის მიზეზადაა ქცეული.**

კერძოდ, ლაპარაკია საქართველოს კომბანკების სხვადასხვა არაპროფილურ ბიზნესში ექსპანსიაზე, რაც, მართალია, წლების მანძილზე მიმდინარეობდა, მაგრამ ბოლო ხანებში გაცილებით შესამჩნევი გახდა. თავდაპირველად რამდენიმე ციფრსა და ფაქტობრივ მონაცემებს მოვიყვანთ.

2014 წლის დამდეგისთვის საქართველოს საბანკო სექტორში მთლიანად 21 კომერციული ბანკი მოქმედებდა, მათ შორის ორია უცხოური ბანკების ფილიალი. 1 იანვრის მდგომარეობით მათი მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 17,3 მილიარდ ლარს შეადგენდა (მათ შორის, სუფთა ქართული კაპიტალი იანვარში 2,928 მილიარდი ლარი იყო). უცხოური კაპიტალის მონაწილეობა ბანკების მთლიან განაღდებულ საწესდებო კაპიტალში 77 პროცენტია, ხოლო ხუთი უმსხვილესი აქტივების მქონე ბანკების წილი საბანკო სექტორის აქტივებში 77,4 პროცენტია. საქსტატის მონაცემებით, წლეულს იანვარში კომბანკების საკრედიტო პორტფელმა 10,5 მილიარდიან ნიშნულს გადააბიჯა. ამასთან, 13 პროცენტით (80 მილიონი ლარით) გაიზარდა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კომბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობის საკითხი ბოლო დროს მეტად აქტუალური გახდა, თანაც ტენდენცია თანდათანობით ძლიერდება. ეს, ბუნებრივია, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მეწარმეების აღშფოთებას იწვევს და ისინი დაუფარავად აცხადებენ, რომ ამით მათ მოღვაწეობას ხელი ეშლება. ლაპარაკია, კერძოდ, სამეურნეო საქმიანობის ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა **დაზღვევა, ტურიზმი, სამოქალაქო მშენებლობა, ლიზინგი, უძრავი ქონება, მეღვინეობა, ასევე სპორტი და გამაჯანსაღებელი მედიცინაც კი!** უნდა ითქვას ისიც, რომ ბანკები არაპროფილურ სფეროებში ხშირად არა უშუალოდ საკუთარი სახელით, არამედ შვილეული კომპანიების მეშვეობით აღწევენ, ამდენად, მათ ინტერესთა არეალი გაცილებით ფართოა, ვიდრე ეს სტატისტიკურად შეიძლება გამოჩნდეს. მაგალითად, საქართველოში მარტო ორი უდიდესი — „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“ ერთად შვიდ ათეულზე მეტ შვილეულ კომპანიას ფლობს, რომლებსაც კიდევ თავიანთი „ბარტყები“ ჰყავთ. ეროვნული ბანკის მონაცემებით, „საქართველოს ბანკის“ მთლიან საკუთრებაშია სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“, შპს „რეგიონის კაუკაზუს ავტოჰაუზი“, საკალათბურთო გუნდი „დინამო“, აქციების საკონტროლო პაკეტი ეკუთვნის შპს „ინტერტურში“ (99,99 პროცენტი), შპს „თელიან ველში“ (51,23 პროცენტი), შპს „ჩემ კლინიკაში“ (51 პროცენტი), ასევე წილობრივი მონაწილეობა სხვადასხვა მხარის ათეულზე მეტ სამედიცინო კლინიკაში და სხვ. „თიბისი ბანკს“ ეკუთვნის „თიბისი ბროკერი“, „თიბისი ფეი“, „უძრავი ქონების მართვის ფონდი“, „საბანკო სისტემის მომსახურების კომპანია“ (100-100 პროცენტი), აგრეთვე „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ (93 პროცენტი), „თიბისი ლიზინგი“ (89 პროცენტი), საბანკო საკრედიტო დაწესებულება „თიბისი კრედიტი“ (75 პროცენტი) და სხვ. ამასთან, ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ კომბანკების არაპროფილურ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვის პრობლემა არა იმდენად კონკურენციის გამძაფრებაში, რამდენადაც ნორმების სისუსტეშია, რომელთა მთავარი ფუნქციაა ბაზრის მონოპოლიზაციის შესაძლებლობათა თავიდან აცილება. არადა, საქართველოში ამ მხრივ რეალობა ისაა, რომ ბანკები საკუთარ არაპროფილურ აქტივებს ჯერ კონკურენტების გაკოტრებით, შემდგომ კი ხშირად მინიმალურ ფასად შეძენით აფართოებენ.

უნდა ითქვას, რომ, როცა კომბანკების მიერ არაპროფილური აქტივების შეძენაზეა ლაპარაკი, ყველა ექსპერტი ერთხმად აღნიშნავს სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ის მაგალითს, რომელიც მართალია, სრულიად კანონიერი, თუმცა კი, მეორე მხრივ, იმის კლასიკური მაგალითია, თუ როგორ შეიძლება გამოვლინდეს ბანკის დაინტერესება შვილეული კომპანიის მიერ კონკურენტის შთანთქმაში. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ საქმიან ინტერესთა მრავალფეროვნების მიუხედავად, ბანკების განსაკუთრებული ყურადღება სამოქალაქო მშენებლობის სექტორისკენაა მიმართული, რადგან, გარკვეული სიძნელეების მიუხედავად, ეს ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სფეროა. სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები კი იმასაც აღნიშნავენ, რომ დარგში არსებული სიძნელეები, გარკვეულწილად, სწორედ ბანკების მიერ არაპროფილური სამშენებლო აქტივების ფლობის შედეგად წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტითაა გამოწვეული.

ბუნებრივია, რომ საქმიანობის წარსამართავად სამშენებლო კომპანიებს ფინანსური სახსრები სჭირდებათ, რომლებიც ბანკების ხელშია, მაგრამ, როცა მომგებიან ბიზნესში ჩართვას მათ კანონი არ უშლის, რატომ იტყვიან ამაზე უარს?! ინტერესთა კონფლიქტიც მაშინ წარმოიშვება ხოლმე, რაც სავსებით გასაგებია: თუკი რომელიმე ბანკი იმავე სამშენებლო სფეროში შვილეულ კომპანიას ფლობს, „თავისიანს“, ცხადია, ყველანაირად „მიხედავს“ და კონკურენტსაც, რბილად რომ ვთქვათ, მეტ პრობლემას შეუქმნის. ყურადღებას ამახვილებენ ასევე იმაზე, რომ კომბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციები ძალიან სუსტია, რისი მიზეზი სათანადო საკანონმდებლო ბაზის უქონლობაა. არაპროფილურ ბიზნესში ჩართვის, ანდა არსებული სეგმენტის გაფართოების ნებართვის მიღება ეროვნული ბანკისგან კომერციულ ბანკს დაუბრკოლებლად ნებისმიერ დროს შეუძლია. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ბანკების მფლობელობაში არსებული სამშენებლო კომპანიების ამჟამად კუთვნილი მიწის ნაკვეთების აბსოლუტური უმრავლესობა მანამდე... სხვა სამშენებლო, ანდა სხვა პროფილის კომპანიების საკუთრება იყო, რომლებსაც თავის დროზე იმავე ბანკებიდან სესხები ჰქონდათ აღებული...

საყურადღებოა ისიც, რომ კომბანკების არაპროფილური აქტივების ფლობასთან დაკავშირებით რეგულირების საკითხის საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტა გაურკვეველ მიზეზთა გამო იბლოკება. საქმე ისაა, რომ შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტს განსახილველად რა ხანია გადაეცა, სათანადო კომისიაც შეიქმნა, მაგრამ ამის იქით საქმე წინ არ წასულა.

ბუნებრივია, რომ ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობასთან და შესაბამის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხს თავად კომბანკებიც გამოეხმაურნენ. კერძოდ, ამასთან დაკავშირებით „თიბისი ბანკმა“ საგანგებო განცხადებაც გაავრცელა, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ბანკი არაპროფილურ ბიზნესს არასდროს არ აწარმოებდა, რაც მისი სტრატეგიითა და კორპორაციული კულტურითაა განპირობებული. მისი საქმიანობა მხოლოდ საბანკო მომსახურებით, კერძოდ, სალიზინგო სერვისით (კომპანია „თიბისი ლიზინგი“), „სწრაფი გადასახადებით“ („თიბისი ფეი“), პლასტიკური ბარათების საპროცენტო ცენტრით და სხვ., შემოიფარგლება, ანუ პროფესიულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული და არა არაპროფილურთან. **„არაპროფილურ ბიზნესებად არ უნდა მივიჩნიოთ გამონაკლისი შემთხვევები, როცა ბანკი ცდილობს პრობლემური სესხის დაფარვას. ამ პროცესში შესაძლოა მოხდეს პრობლემური აქტივის დროებით საკუთრებაში მიღება მისი შემდგომი რეალიზაციის და სესხის დაფარვის მიზნით“,** — ნათქვამია ბანკის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

აღნიშნულ საკითხს ასევე საქართველოს ბანკების ასოციაციაც გამოეხმაურა. კერძოდ, ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ განაცხადა, რომ მოყვანილი არგუმენტაცია იმას მოწმობს, რომ პრობლემის სათანადო ანალიზი ჩატარებული არ არის. მისი თქმით, იქ, სადაც კომბანკებს არაპროფილური აქტივების ფლობა ეზღუდებათ, საქმეში იპოთეკური, საინვესტიციო და სხვა ტიპის ბანკები არიან ჩართულნი. ამასთან, ბატონმა გვასალიამ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ქვეყანაში არსებობს უნივერსალური ბანკები, რომელთა აქტივების შეზღუდვა კონკურენციას დააზარალებს, რაც, თავის მხრივ, ხარისხზე უარყოფითად აისახება. საბოლოო ანგარიშით კი ამით ისევ მომხმარებელი დაზარალდება, რადგან მოხმარება მიწოდებას გადააჭარბებს, რაც ფასების ზრდას გამოიწვევს.

ამის მიუხედავად, ექსპერტებს მაინც მიაჩნიათ, რომ ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობასთან დაკავშირებით სისტემური ცვლილებები დროულადაა შემოსაღები.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ალიან-ჩალიანი

### 44 000 ადგილზე 31 000-მდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა

**როგორც** შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა, აბიტურიენტების რაოდენობა წელს, სრულიად ნორმალურია, მათი რიცხვი რეგისტრაციის დასრულებამდე კიდევ გაიზრდება და სავარაუდოდ, 35 000-ს მიაღწევს, რადგან რეგისტრაციის პროცესი ბოლო დღეს ყველაზე ინტენსიურია.

მიუხედავად იმისა, რომ წელს, დიდი ალბათობით, აბიტურიენტების რაოდენობა საკონკურსო ადგილებზე ნაკლები იქნება, მაია მიმინოშვილი განმარტავს, რომ შესაძლებელია ბევრი აბიტურიენტი უმაღლეს სასწავლებელს მიღმა დარჩეს, რადგან მათ პირველ რიგში საგამოცდო საგნებში ბარიერის გადალახვა მოუწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩაირიცხებიან.

მისივე ინფორმაციით, გასულ წლებში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 30-35 000 აბიტურიენტი რეგისტრირდებოდა.

— ციდან ვერ მოვიყვანთ აბიტურიენტებს, მათი ძირითადი მასა მოდის სკოლიდან. წელს უფრო ნაკლებია მეთორმეტე კლასელთა რაოდენობა, ვიდრე შარშან და წინა წლებში. უფრო ცოტა ამთავრებს სკოლას, ვიდრე შარშან, ან შარშანწინ. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ კონკურსი არ არის, რადგან კონკურსი კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩარიცხვისას წარმოებს. ბუნებრივია ყოველ წელს საკონკურსო ადგილების გარკვეული რაოდენობა ვაკანტური რჩება, — აღნიშნა მაია მიმინოშვილმა.

მისივე თქმით, გასული წელი აბიტურიენტების რაოდენობის მიხედვით გამონაკლისი იყო, რადგან ბევრმა სკოლის დამთავრება ექსტერნად გადაწყვიტა, გარდა ამისა, 5 000-მდე აბიტურიენტი მე-12 კლასელი არ იყო, თუმცა, სკოლა წინა წლებში ჰქონდა დამთავრებული.

რაც შეეხება კონკურსს, როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი აცხადებს, ფაკულტეტებზე კონკურსის შესახებ საუბარი ამ დროისთვის რთულია, რადგან აბიტურიენტებს აგვისტოს დასაწყისამდე არჩევანის შეცვლის უფლება აქვთ.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაციის პროცესი დღეს, 21 მარტს, 18:00 საათზე დასრულდება.

### სოციალური დახმარებები დარღვევებით გაიცემოდა

**თბილისის** საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მიხეილ ქავთარაძის განცხადებით, კრწანისის რაიონის გამგებლი ხათუნა ბერძენიშვილი გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსს დოკუმენტების გაყალბებას აიძულებდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საკრებულოდან აცნობეს, მიხეილ ქავთარაძემ გუშინ ბრიფინგი გამართა, სადაც კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ 355 სოციალურად დაუცველ და უმწეო პირზე დარღვევებით სოციალური დახმარებების გაცემის საკითხზე ისაუბრა.

მიხეილ ქავთარაძის განცხადებით, მათ მიმართა თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსმა ია გრიგალაშვილმა, რომელიც აცხადებს, რომ ხათუნა ბერძენიშვილის მიერ მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა. კერძოდ, გამგებელი გრიგალაშვილისგან ითხოვდა, უკანონო დოკუმენტებზე მოეწერა ხელი.

— საუბარია სხდომის ოქმზე, რომლითაც კრწანისის რაიონის გამგეობამ 355 სოციალურად დაუცველ და უმწეო პირებზე საგარანტიო ფურცლები გასცა. სინამდვილეში სხდომა, სადაც გადაწყდებოდა ამ პირებზე სოციალური დახმარებების გაცემა, რეალურად არ ჩატარებულა და იმ პირთა უმეტესობა, ვისზეც უნდა გაცემულიყო აღნიშნული დახმარება, პოლიტიკური ნიშნით იყვნენ შერჩეულები. ამასთანავე, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აქამდე ხათუნა ბერძენიშვილი სოციალურ დახმარებებზე მოქალაქეებს უარს ეუბნებოდა იმ მოტივით, რომ თბილისის ბიუჯეტი არ იყო დამტკიცებული და თითქოსდა გამგეობას საამისოდ საკმარისი თანხები არ გააჩნდა, რაც, რა თქმა უნდა, სიცრუეა, — აცხადებს ქავთარაძე.

მისივე თქმით, თბილისის ბიუჯეტის მიღების შემდეგ, 12 მარტს, კრწანისის რაიონის გამგებელმა 355 სოციალურად დაუცველ პირზე ერთიანად გასცა გარანტიები. ქავთარაძე განმარტავს, რომ ბიუჯეტის მიღების დროს თბილისის საკრებულომ მასში ჩადო რეგულაციები, რომელთა თანახმადაც, თბილისის მთავრობის მიერ სოციალური დახმარებები და სხვა სოციალური ღონისძიებები საკრებულოს ბიუროსთან შეთანხმებული უნდა იყოს.

**ინტერპრესი**

**აკაკი წერეთელი 1881 წელს წერდა: „ბევრჯერ გამიგონია ჩვენში, რომ ესა და ეს კაცი,თავიანიაო. გამიცვნია დაკვირვებით და გამომდგარა, რომ ბოლო თავად მიუღიათ... ცხვრის ჯოგი ხომ მოგეხსენებათ დაგენახვებათ?.. ერთი რომელიმე ცხვარი დაიბღავლებს „ბეეო“, იმას აჰყვებიან დანარჩენები და აღარ არის ყურთა-სმენა. ბოლოს უმიზეზოთვე დაჩუმდებიან და ამით თავდება საქმე. ხანდახან მასხარა და გამოქნილი მეცხვარე განგებ თვითონ დაიძახებს ცხვარსავით და ასტეხს ხოლმე ცხვრებსაც.**

**სწორედ ამ მეცხვარესავით ირჯებიან გაქნილი და გაიძვერა კაცები: ერთს ვისმეს დააყვირებენ და ასტეხენ საზოგადოებას“.**

სამწუხაროდ, ახლაც არა ერთი და ორი კაცი მოიძებნება, რომლებსაც თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს ადამიანი და რადგან ხანდახან დრო და ჟამზე დამოკიდებულებით, მოკლე ჭკუა უფრო სჭრის ხოლმე, გარეშე და შინაური ავისმდომლები შესანიშნავად იყენებენ ასეთ ჭკუაგაურანდავ ადამიანებს საზოგადოებაში დეზორიენტაციის, ქვეყანაში დაძაბულობის შესაქმნელად, მაქინაციებისა და ხრიკების მოსაწყობად. სწორედ ასეთი ვითარებაა დღეს საქართველოში, როდესაც ნაციონალური მოძრაობის მესვეურები, უფრო სწორად ნარჩენები, ტელევიზორის ეკრანებიდან, ზემოთ ნახსენები მეცხვარესავით, საკმაოდ ხშირად აყვირებენ „ყოვლისმცოდნე“ გადაცემის წამყვანებს, რომლებიც კიდევ, თავის მხრივ, მათ მიერვე წინასწარ განზრახულად მოძებნილ და დამუშავებულ თანამოაზრეებს გადაცემაში აყვირებენ, რათა ასტეხონ საზოგადოება.

სწორედ ასე მოხდა ახლახან, 13 მარტს, როდესაც ტელევიზია „ტაბულას“ არხზე გადაცემა მიეძღვნა დემოგრაფიის პრობლემებს. გადაცემა მიჰყავდა **თამარ ჩერგოლეიშვილს,** რომელსაც მოწვეული ჰყავდა **ვახტანგ ლეჟავა, ლევან კალანდაძე** და ლოჭინზე ნაკურთხი პროფესორი **გია წულაძე.** მოკლედ ეს პამპულები შეიკაზმენ და, ნამეტანი პამპულობა რომ არ გამოსვლოდათ, წამყვანმა ჩერგოლეიშვილმა სტუმრად მოიწვია დემოგრაფიული განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ჩიბურდანიძე. საქმის არსი რომ ნათელი გახდეს, შემდეგიც უნდა ითქვას. აღნიშნული ფონდის ინიციატივით იმ რეგიონებში, სადაც არის დაფიქსირებული წლების განმავლობაში მოსახლეობის ბუნებრივი კლება, კერძოდ, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში, 2014 წლის 1 ივნისიდან დედის მიერ მესამე ბავშვის დაბადების შემთხვევაში ოჯახს მიეცემა ყოველთვიური დახმარება მთიან რეგიონებში 200 ლარის, ხოლო ბარში 150 ლარის ოდენობით. ამასთან, დემოგრაფიული პოლიტიკა ტარდება რეგიონულ ჭრილში და არავითარ შემთხვევაში ეთნიკურ ჭრილში. ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, კახეთში, რომლის მოსახლეობის რაოდენობა 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით 441 ათას კაცს უდრიდა, დახმარებას მესამე ბავშვის დაბადების შემთხვევაში მიიღებენ არა მარტო ქართველები, არამედ კახეთში დიდი რაოდენობით მცხოვრები აზერბაიჯანელები (33641), რუსები (13 690), ოსები (12441), სომხები (6473) და ა.შ. როდესაც ქვეყნის ეკონომიკა წელში გაიმართება, ეს ღონისძიება დანარჩენ რეგიონებშიც განხორციელდება. ამასთან ერთად, საქართველოში მშობიარობა გახდა უფასო, ოთხი თვიდან ექვს თვემდე გაიზარდა დეკრეტული შვებულება, მთელი დეკრეტული შვებულების ანაზღაურება კი 600 ლარის ნაცვლად 1000 ლარი გახდა.

ამრიგად, მოსახლეობის გამრავლებისა და მასთან დაკავშირებული დემოგრაფიული პრობლემები სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი. მიუხედავად უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებისა, წარსულ წლებში არაფერი გაკეთებულა, ნაციონალურ მოძრაობას თითი თითზე არ დაუკარებია დემოგრაფიული კატასტროფის ასაცილებლად. ამჟამად კი დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად სპეციალური სამთავრობო ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს. შეიძლება ითქვას, რომ ერი გადაურჩა განადგურებას, ფიზიკურ წყვეტას.

სწორედ ამას ვერ ინელებს ნაციონალური მოძრაობის ნარჩენები. ქვეყანაში ამდენი უბედურება დატრიალდა და თუ ვინმე ნაციონალს დანაშაულისთვის დაკითხვაზე დაიბარებენ ან პასუხისგებაში მისცემენ, ნაციონალი ადვოკატები (მაგალითისთვის გიორგი ონიანი და ოთარ კახიძე კმარან) და ნაციონალური მოძრაობის წევრები: გიორგი ვაშაძე, გოკა გაბაშვილი, აკაკი მინაშვილი და სხვები მაშინათვე ადმინისტრაციული შენობების წინ აიტუზებიან და ხმამაღლა დაბრეცილი თვალებით გაჰყვირიან, თითქოს რაც უფრო ხმამაღლა იყვირებ, მით უფრო დაამტკიცებ, რომ დამნაშავე უცოდველი ბატკანია. ისე გამოდის, რომ ამდენი უსამართლობის შემდეგ დამნაშავე არავინაა და პასუხი არავის უნდა მოეთხოვოს.

სწორედ ზემოთ აღნიშნული დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისთვის გაწეული ღონისძიებების გატარება გახდა იმის საბაბი, რომ პირწავარდნილმა ნაციონალმა თამარ ჩერგოლეიშვილმა მეორე დღესვე მოიწადინა ამ ღონისძიებების გაბიაბრუება თავის ტელევიზიაში (რომელსაც, როგორც ამბობენ, კახა ბენდუქიძე აფინანსებს, რომელიც ისედაც მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყანას) და ამ პრობლემებზე გადაცემა მოაწყო. ჩვენ ამ გადაცემაზე შედარებით ვრცლად შევჩერდებით, რადგან, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ტელევიზიის არხებზე გასული გადაცემების უმრავლესობა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს.

არ მერიდება იმის თქმა, რომ, რაც ქვეყანას დაემართა, ჟურნალისტთა საკმაო ნაწილის, მათი არაპროფესიონალიზმის და „მსუქანი ჯამაგირის“ ზედმეტად სიყვარულის შედეგიცაა. ისინი, მე ვიტყოდი, თავაშვებული მედიის წარმომადგენლები, ახლაც აგრძელებენ ქვეყნის საწინააღმდეგოდ სვლას, სადილობამდის ერთს ლაპარაკობენ და ნასადილევს მეორეს და კუჭს ზევით ვერაფერს ხედავენ, როგორც დიდი აკაკი იტყოდა.

## რატომ არ მოსწონს ვატოს გაეროს გაკეთებული პროგნოზი

გადაცემაში პირველი სიტყვა ბატონმა თამარ ჩერგოლეიშვილმა ვახტანგ ლეჟავას მისცა, რომელსაც რატომღაც არ მოსწონს გაეროს ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გაკეთებული მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზი 2050 წლისთვის. ბატონი ვახტანგი რიხით აცხადებს: (შინაურობაში, და, მაშასადამე, თამარ ჩერგოლეიშვილისთვისაც, ვატო), რომელმაც დემოგრაფიის ანბანიც არ იცის, არავითარ უხერხულობას არ გრძნობს დაიწუნოს გაეროს

# რამ გააწიწმატა პამპულები



ხალთხმოსახლეობის ფონდის, კერძოდ, ცნობილი მეცნიერების მიერ გაკეთებული მოსახლეობის პროგნოზი და რიხით აცხადებს: გაეროს კვლევას აქვს დიდი ხარვეზიო. სანამდე მის ამ ნაცოდვილარ მოსაზრებას პასუხს გავცემდე, მანამდე გადაცემის წამყვანის ერთ უაზრო შეკითხვაზეც გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. ქალბატონი ჩერგოლეიშვილი ვახტანგს (იგივე ვატოს) ეკითხება: ვატო, რატომ უნდა გავმრავლდეთ? რატომ არის მნიშვნელოვანი ერის გამრავლება? ამ შეკითხვის დასმა, როდესაც მთელმა საზოგადოებამ იცის, რომ ქვეყანაში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა, და პასუხი ყველა ნორმალურად მოაზროვნე ქართველისთვის ერთმნიშვნელოვანია, უაზრობაა და, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩერგოლეიშვილისთვის არის სულ ერთი მილევის პირას მისული ქართველობა რაოდენობრივად კიდევ შემცირდება თუ გაიზრდება. ჩერგოლეიშვილი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის პირწავარდნილი აპოლიგეტია, ყოველ გადაცემაში ცალმხრივობის, მიკერძოების ტყვეობას, ფორმალურად მაინც, თავს ვერ აღწევს. დემოგრაფიულ პრობლემებზე გადაცემის წინ მას სტუმრად ჰყავდა პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი დავით უსუფაშვილი, რომელსაც უტიფრად უთხრა: თქვენი ლიდერები ციხეში არ ჩაუსვამთო. პოლემიკაში ყოველთვის თავდაჭერილმა და ზომიერმა უსუფაშვილმა თავი ველარ შეიკავა და საკმაოდ მკვახედ მიუგო: რომელმა ჩვენმა ლიდერმა წაიღო მილიონები? ან გააყალბა არჩევნები? რომელი ჩვენი ლიდერი იყო ძალადობრივი ორგანიზაციის წევრი ან ეჭვმიტანილი? კუთხეში მიმწყვდეული ჩერგოლეიშვილი შეეცადა მსჯელობის სხვა საკითხზე გადატანას.

თუ პირველ ნათქვამს დავუბრუნდებით, საჭიროა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა აკეთებს მოსახლეობის რაოდენობის მოკლევადიან თუ გრძელვადიან პროგნოზებს. საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძოდ, გაეროც აკეთებს ასეთ პროგნოზებს, მხოლოდ გაუგებარია, რა დაუშავა გაერომ ბატონ ვატოს, რომ მის კვლევას აბსოლუტურ უნდობლობას უცხადებს (კვლევა დიდი ხარვეზებით ჩატარდაო) და აღნიშნავს, გაერო მოსახლეობის პერსპექტიული გაანგარიშების დროის საწყის მონაცემად იღებს 1980-იან წლებს და შემდეგ აკეთებს ექსტრაპოლაციასო და ამდენად ვერ ვიტყვით, რამდენი იქნება მოსახლეობა 2050 წელსო. ამ ბათმანმა უნდა იცოდეს, რომ პერსპექტიული გაანგარიშება აიგება მხოლოდ და მხოლოდ არსებული დემოგრაფიული მონაცემების და პირობების საფუძველზე. საწყისად იღებენ ძირითადად წელს, რომელი წლიდანაც ხდება გაანგარიშება. ამ ასპექტში სრულიად გაუგებარია ბატ. ვატო, რის საფუძველზე აღნიშნავს, რომ გაერო მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზს აკეთებს 1980-იანი წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ე.ი. საწყისად რის საფუძველზეა აღებული 1980-იანი წლები. ამ დროს, ყველა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის საპროგნოზო ცვლილება გაკეთებულია 2006-2008 წლების საწყის მონაცემებზე დაყრდნობით 2008-2050 წლებისთვის და მითითებულია, რომ 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა (თუ რაიმე არსებითი ცვლილებები არ მოხდა, მაგალითად, ომები, დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება), შემცირდება 28 პროცენტით და იქნება 3,3 მილიონი და დაანგარიშებისას საწყის მონაცემებად აღებულია 2006-2008 წლები (Обзор достижений в области охраны материнства в странах Восточной Европы и Центральной Азии, 59, 162). არასოდეს მოსახლეობის პროგნოზების დროს 20 წლის წინანდელი მონაცემები საწყისად არავის აუღია. ასე რომ, ვატოს თავი რომ გაენძრია და არა სხვა რამე (როგორც დიდი ილია იტყოდა), ასეთი უცოდინრობის სააშკარაოზე გამოტანას, შეიძლება კიდეც აცდენოდა.

ბარემ ბატ. ვატოს გადაცემაში დახვავებული სხვა მაგალითების შესახებაც აღვნიშნოთ. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ზეპირი საუბრის დროს დემოგრაფიული მონაცემები შეიძლება მთლად სიზუსტით ვერ დაასახელოს კაცმა, მაგრამ, როდესაც წინასწარგანზრახულად, ნაციონალური მოძრაობის ნარჩენების სასარგებლოდ სხვის დასამცირებლად და მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების — შობადობის წახალისების ღონისძიების დასაკნინებლად იღებ სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობას, მაშინ კეთილი ინება და შობადობისა და ეროვნული შემადგენლობის მონაცემებიც ზუსტად დაასახელე. ამ ჩვენმა ბატ. ვატომ კი აღნიშნა: 1990-იანი წლების ბოლოს 40 ათასი ბავშვი დაიბადაო. ამ დროს, არც 1990-იანი წლების ბოლოს და არც დასაწყისში 40 ათასი ბავშვი არასოდეს დაბადებულა — 1990-იან წლებში ყველაზე მცირე რაოდენობით ბავშვი დაიბადა 1999 წელს — 48695 ახალშობილი მოევლინა ქვეყანას. ამასთან, 1989 წელს, როდესაც საქართველოს მოსახლეობა 5400 ათას კაცს უდრიდა, ქართველები მთელი მოსახლეობის 70,1 პროცენტს შეადგენდნენ და არა 69,0 პროცენტს, როგორც ეს ბატ. ვატოს ჰგონია. ამასთან, 1,1 პროცენტი საქართველოსთვის არცთუ უმნიშვნელო რიცხვია და 59400 კაცს უდრის.

ეჰ, ბატ. ვატო! რა გრჯიდათ დემოგრაფიულ პრობლემებზე გამოსვლას, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალბატონ თამარ ჩერგოლეიშვილის თხოვნაზე სულმა წაგძლია, თან ოცნების მიერ განხორციელებული ღონისძიების ლანძღვის საშუალებაც გეძლეოდათ. აბა, როგორ გავიგოთ, როდესაც განაცხადეთ, ეკონომიკას დემოგრაფიასთან, მიგრაციასთან აქვს კავშირიო, ხოლო შობადობასთან ეკონომიკის კავშირს უარყოფთ. ჯერ ერთი, მეცნიერთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მიგრაცია არ არის დემოგრაფიის კვლევის საგანი, მეორეც, დემოგრაფიასთან ეკონომიკას კავშირი ჰქონდეს და შობადობასთან — არა, ეს სრული ნონსენსია, რადგან შობადობა დემოგრაფიის უმთავრესი საკვანძო პრობლემაა, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი კიდევ ერთი უმეცრების შესახებ აღვნიშნავთ და, ვფიქრობთ, თქვენი სრული პორტრეტი იქნება დახატული.



**ანზორ თოთაძე,**
**პროფესორი, დემოგრაფი**

**(გაგრძელება იქნება)**

◉ კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

**● დედას გეფიცებით არც მარგველაშვილისთვის მიმიცია ხმა და არც ნარმანიას შემოვხაზავ. რა ვიცი რამდენიმე თვეში რა ხასიათს გამოავლენს.**

**● ისა და რა მინდა ვიკითხო:**

**ხომ არ იცით უსუფაშვილზე და რესპუბლიკელებზე როდის იტყვის არ გაამართლეს, სხვანაირები ყოფილანო?**

**● მაგარი სასაცილო სიტუაცია გაიჩითა: 1. თუ მარგველამ მაჭავარიანი მოხსნა (ანუ, თუ მაჭავარიანი „გადადგა“), ეგრევე ჩანს, რო ბიძო აკონტროლებს ყველაფერს! (ამაზე ნაცები მაგარ პიარს ატეხენ) 2. თუ მაჭავარიანი არ გადადგა, ე.ი. ბიძო სლაბი ყოფილა! (რაც თვითონ ბიძოს არ უნდა მოეწონოს) 3. ნებისმიერ შემთხვევაში ოდიშარიას ნაწარმოებებს სასკოლო სახელმძღვანელოებიდან უეჭველი ამოიღებენ 4. ნარმანიაზე მერე დავწერ (ახლა მეზარება) 5. რაღაც ყარს დანიის სამეფოში! (ეს ერთხელ უკვე დავწერე) შექსპირის უცნობი დღიურებიდან.**

**● ქარი და ხელისუფლება რომ არ უბერავდნენ, ფრიად მშვენიერი ამინდია!**

**● არა მგონია, ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა მისი „გულუბრყვილობის“ ან „გულწრფელობის“ შედეგი იყოს და აი, რატომ:**

**შიდასახელისუფლებო და, ზოგადად, პოლიტიკური კრიზისის ფონზე, როცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დღითი დღე მკვეთრად უარესდება.**

**იმ ფონზე,როცა ძალზე გააქტიურებულები არიან უკრაინის დროშით ხელდამშვენებული ნაცები და მათი რესპუბლიკური დესანტი, როცა ქვეყანაში აშკარად რაღაც მზადდება და ამას ხელს არავინ უშლის, თითქოს იმაში, რაც უნდა მოხდეს, განტევების ვაცი ან ვაცები მზადდება პრეზიდენტის (და სხვათა) სახით... თან ისე, რომ მათი მომყვანი და დამსმელი არაფერ შუაში არ უნდა იყოს!!! ასე არ არის, ბატონო ბიძინა? და თუ არა, მაშინ რა ნიშნით შეარჩიეთ თქვენი „იმედგაცრუების“ საჯაროდ განცხადების დრო — ადგილობრივი არჩევნების წინა პერიოდი?!....**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

რას წერს პრესა?

# ძნელია იყო პუტინი

## რა გამოწვევები დგას პრეზიდენტის წინაშე?

რუსეთელები რეალურად არიან შეშფოთებულნი. პოლიტიკამ, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ დუნედ გვეჩვენებოდა, მოულოდნელად მოგვიბრახუნა კარებზე ჩვენ საცხოვრებლებში. მაღაზიებში, ბაზრებში, ავტობუსების გაჩერებებზე, სადაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ საუბრობდნენ ოლიმპიადის შესახებ, გეგმებზე საზაფხულო დასვენებისთვის, სააგარაკო უბნებზე მუშაობის შესახებ, განგაშით ჩურჩულებენ: ოღონდ ომი არ იყოს. უკანასკნელ პრესკონფერენციაზე ვ.პუტინმა შეძლო შეემცირებინა შიშის გრადუსი, თუმცა განგაში დარჩა.

ხალხის გენეტიკურ ხსოვნაში შეირხა რუსეთისთვის წყეული XX საუკუნის ყველა შიში – მობილიზაციის, ცარიელი თაროების, დანაზოგების გაქრობის შესახებ...

### რუსეთის ინსტინქტები

ხალხი მიეჩვია იმას, რომ ქვეყანაში სტაბილურობაა. რომ რუბლი ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაცვალო ევროზე და წახვიდე დასასვენებლად ევროპაში. და უეცრად ეს სტაბილურობა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. და აი, რა გამოჩნდა: მიუხედავად ტექტონიკური ძვრებისა, რომლებიც მოხდა რუსეთის საზოგადოებაში უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, ბევრი ინსტინქტი, ხალხისაც და ხელისუფლებისაც, დარჩა წმინდა საბჭოური. მწვავე სიტუაციის გაჩენის დროს არც ხელისუფლება, არც მოსახლეობა არ იწყებს კრიზისის წყაროებისთვის ანალიზის გაკეთებას, იწყებენ ჩვეულებრივი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების მიღებას: უპასუხონ „რუსეთის გამჭორავებლებს“ ან, როგორც ნ.ხრუშჩოვი ამბობდა, „უჩვენონ კუზკინის დედა“.



ყველა როდი ფიქრობს იმის შესახებ, რომ საბჭოთა პოლიტიკური ინსტრუმენტები (მათ შორის ისიც, რომ „დააშინონ“) ახალ პირობებში ან არ მუშაობენ, ან მუშაობენ სხვაგვარად. როდესაც სსრ კავშირის ლიდერები ღებულობდნენ გადაწყვეტილებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში ჯარების შეყვანის შესახებ, მათ ნაკლებად აინტერესებდათ მსოფლიო გაერთიანების რეაქცია. სსრ კავშირი იყო დახურული სისტემა, რუბლი – დახურული ვალუტა. მოსკოვში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, მაგრამ არ ყოფილა ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა. ჩვენი ოქროს ვალუტის რეზერვები არ იბანდებოდა ამერიკის ფასიან ქაღალდებში.

დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა. სიახლემ იმის შესახებ, რომ რუსეთმა შეიძლება შეიყვანოს ჯარები უკრაინაში, დაშალა რუსეთის საფონდო ბაზარი. ცენტრალური ბანკი კი იძულებული გახდა დაეხარჯა მილიარდობით დოლარი დაცემული რუბლის მხარდასაჭერად. იქნებ, პირველად უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, რუსეთის ბიზნესმა საკუთარ ჯიბეზე მწვავედ იგრძნო ის, რომ რუსეთი სოციალისტურიდან კაპიტალისტურ ქვეყნად გადაიქცა. და რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები პირდაპირ გავლენას ახდენენ საფინანსო ბაზრებსა და ეროვნულ ვალუტაზე.

### პუტინმა თქვა

ვ. პუტინი რთულ პოლიტიკურ და ემოციურ სიტუაციაში აღმოჩნდა. დასავლეთმა, რომელმაც კიევში ხელი მოაწერა კომპრომისულ შეთანხმებას და რომელიც რუსეთსაც ხელს აძლევდა, ცინიკურად თქვა უარი მასზე. ფაქტობრივად „მიატოვა“ ვ.პუტინი, რომელიც ფარულად იყო კომპრომისის ერთ-ერთი ავტორი. ასეთ ვითარებაში ბუნდოვან დიპლომატიურ ვაჭრობაში შესვლა თავიდანვე განწირული იყო წარუმატებლობისთვის: ბანდერულმა მაიდანმა ხელში ჩაიგდო ხელისუფლება კიევში და მზად იყო გაეტანა ანტირუსული დროშები მთელს უკრაინაში. პრეზიდენტი იძულებული იყო გაეცა პასუხი. და პუტინმა ეს ძალიან მკვეთრად გააკეთა.

რასაკვირველია, პურიტანული პოზიციებიდან შეიძლება ისაუბრო იმის შესახებ, რომ ფედერაციის საბჭომ, განხილვის გარეშე, ფაქტობრივად, ელვისებურად, მისცა ვ.პუტინს ნება უკრაინაში ჯარის გამოყენების შესახებ. მაგრამ ეს მხოლოდ მიუთითებს იმ ფაქტს, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მთელი პასუხისმგებლობა თავად იკისრა. იმ პირობებში, როდესაც ყოველი დღის დაკარგვა ართულებდა სიტუაციას, სხვაგვარად მოქცევა (განსაკუთრებით, როდესაც იცი პუტინის ხასიათი) მას უბრალოდ არ შეეძლო.

### უფრო ძნელია, ვიდრე...

დღეს იყო ვ.პუტინი, ძალიან ძნელია. მრავალრიცხოვანი შეკითხები, რომლებიც გაუჩნდა მეორე დღესვე „პროგრესულ საზოგადოებრიობას“: ყველაფერია მოფიქრებული? ყველაფერია გაანგარიშებული? როგორი იქნება შედეგები? – მიმართულია არა სენატორების, არა სახელმწიფო დუმის დეპუტატებისადმი, არამედ პრეზიდენტისადმი. ვის შეეძლო სსრ კავშირში ეთქვა ნ.ხრუშჩოვისთვის, რომელმაც მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება რუსული ყირიმის კიევისთვის გადაცემის შესახებ, რომ მან სისულელე ჩაიდინა? ვინ შეძლებდა დაედო ბრალი ლ.ბრეჟნევისთვის, რომელმაც გასცა ქვეყნისთვის დამღუპველი ბრძანება ავღანეთში ჯარების შეყვანის შესახებ? მისცე ვ.პუტინს დღეს ამგვარი შეკითხვები, მეტად იოლი და მოდურიც კია.

მაგრამ ყველაზე ძნელ შეკითხვებზე ყველაზე მეტად პასუხის გაცემა უჭირს თავად ვ.პუტინს. ეს ძნელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ სიტუაციას აქვს მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ასპექტები და შესაძლო საფინანსო შედეგები. ძნელია ასევე იმიტომაც, რომ თავად ხელისუფლების მიერ ინიცირებული პატრიოტული და დერჟავული პოლიტიკა დომინირებული გახდა. სულ უფრო ხმამაღლა გაისმის უპასუხისმგებლო სიტყვები საბჭოთა იმპერიის აღდგენის შესახებ. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (ჯერ ისევ საბჭოური მენტალიტეტით) აღიქვამს ამ მოწოდებებს სავსებით სერიოზულად. და ვ.პუტინი, მისი მთელი პრაგმატულობის გათვალისწინებით, ხდება ასეთ განწყობილებათა მძევალი. და ეს ართულებს კომპრომისების მოძებნას.

იყო პუტინი დღეს, ძნელია იმიტომაც, რომ მთელი რიგი პარტიები, შეშფოთებულები რეიტინგების შენარჩუნებით, მოიცვა სოციალური პოპულიზმის ეპიდემიამ. მოსახლეობასთან მიმდინარეობს სახიფათო თამაში დამორჩილების შესახებ. შედეგად იზრდება სოციალური მოთხოვნები. არ დააკმაყოფილო ეს მოთხოვნები, შეიძლება მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ინდუსტრიალიზაციის ამოქმედების პირობებში. ერთიც და მეორეც მიმდინარეობს უკიდურესად ნელა. შედეგად ხელისუფლება თავად ხდება საკუთარ დაპირებათა მძევალი.

* * *

ა. გერმანის უკანასკნელ ფილმში „ძნელია იყო ღმერთი“ არის მრავალმნიშვნელოვანი ფრაზა, რომელიც ხელისუფლების შეცვლას ეხება: „რუხების შემდეგ ყოველთვის მოდიან შავები“. უკრაინაში სწორედ ეს მოხდა. რუხების ხარბმა და უგუნურმა ბრბომ, რომელიც იანუკოვიჩს შემოერტყა, მოახდინა მოსახლეობის მძაფრი უკმაყოფილების პროვოცირება, დაკარგა ლეგიტიმურობა და ხელისუფლებაში შავები მოიყვანა.

რუსეთი, მადლობა ღმერთს, არ არის უკრაინა, მაგრამ ფორმულა – „რუხების შემდეგ მოდიან შავები“ – გაისმის გამაფრთხილებლად ჩვენთვისაც. უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთის პოლიტიკა სულ უფრო და უფრო მეტად იღებება რუხ ფერებში. პუტინს, როგორც იანუკოვიჩს, გარს ახვევიან ხარბი, რუხი, უგუნური ბრბოები. პუტინი არ არის ღმერთი, მაგრამ მას აქვს საკმარისი ხელისუფლება, რათა გაათავისუფლოს „ავგიევის თავლები“ და თავიდან აიცილოს შავების შემოსევა.

**ვიაჩესლავ კოსტიკოვი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## დედამიწის ზურგზე



### უმაღლეს რადაში შეიტანეს დეკლარაციის პროექტი უკრაინის გათავისუფლებისთვის. ყირიმს უყენებენ ულტიმატუმს, მას „ოკუპირებულ ტერიტორიად“ აცხადებენ

დოკუმენტის პროექტში ნათქვამია იმის შესახებ, რომ უკრაინელი ხალხი არასოდეს შეურიგდება ყირიმის დაკარგვას და აუცილებლად გაიმარჯვებს, ვინაიდან „ჩვენთან არის უფალი და სიმართლე“. დეკლარაცია შეიცავს მოწოდებას საერთაშორისო გაერთიანებისადმი, არ აღიარონ ყირიმის მიერთება რუსეთის ფედერაციასთან. რადა ასევე განიხილავს კანონებს ოკუპირებული ტერიტორიების, ბირთვული სტატუსის აღდგენისა და რუსეთის საკუთრების ნაციონალიზაციის შესახებ.

### ევროკავშირის სამიტის მთავარი თემები გახდება სიტუაცია უკრაინაში და საკითხი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების შესახებ



სამიტზე განიხილავენ რუსეთის მიმართ სანქციების „მესამე ბლოკს“ – ვაჭრობისა და ეკონომიკური ხასიათის შემზღუდველ ზომებს. ამჟამად აღნიშნულ საკითხებზე ევროკავშირის ქვეყნებს შორის არ არის ერთიანობა. ექსპერტების აზრით, ბრიუსელი ძნელად რომ წავიდეს იმ ზომების მიღებაზე, რომლებიც დარტყმას მიაყენებენ თავად ევროპელების ბიზნეს-ინტერესებს.

### იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც მხარს უჭერენ რუსეთის მოქმედებას ყირიმში, შეუერთდნენ აფრიკის ქვეყნებიც

მოსკოვის ახალი მოკავშირეები ყირიმის საკითხში გახდნენ აფრიკის ქვეყნების ლიდერები. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის პოზიციას მხარი დაუჭირა განის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯერი როლინგსმა და უგანდის პრეზიდენტმა იოვერი მუსევენიმ. თითქმის ასევე მოხდა მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარების შემდეგ.

### ავღანეთის აღმოსავლეთში თვითმკვლელებმა შეუტიეს პოლიციის განყოფილებას: დაიღუპა 18 პოლიციელი

ტერორისტების ჯგუფის შეტევის შედეგად ჯალალაბადის ერთ-ერთ რაიონში კიდევ ოცი კაცი დაიჭრა. შტურმის დაწყებამდე თვითმკვლელმა აიფეთქა თავი დანაღმულ ავტომობილში. შეტევა მოხდა იმ შენობების კომპლექსების მახლობლად, რომლებიც გაეროს ეკუთვნის.



◉ გამჭვირვალობა

# სს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების“ განცხადება ძველი სახელფასო დავალიანების დაფარვის შესახებ

სს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების“ (ყოფილი სს „დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკა“) ადმინისტრაცია აცხადებს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილ(ებ)ის/აქცი(ებ)ის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულებით (№2012030510690 22.03.12) სს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებს“ განესაზღვრა ვალდებულება — სს „დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკის“ სახელფასო დავალიანების მინიმუმ 1/3-ის დაფარვა 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე, ხოლო დარჩენილი დავალიანების დაფარვა 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

კლინიკის მიერ ვერ იქნა მოძიებული თანამშრომელთა გარკვეული რაოდენობა, რომელთა მიმართაც ირიცხება სახელფასო დავალიანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაცია საჯარო წესით აქვეყნებს ყოფილი სს „დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკის“ თანამშრომელთა მონაცემებს.

**შენგელია იზოლდა, ადეიშვილი ეთერი, ალავერდაშვილი მერი, ალიმბარაშვილი თინათინი, ალოევა ასია, აღნიაშვილი გულნაზი, ასათიანი ირა (ირინა), ასლამაზაშვილი მარინა, ატარშიკოვი ალექსანდრე, ახმედოვა იასამანი, ახმედოვა თამილა, ბაბეური გიორგი, ბაკიძე ციური, ბეგლარაშვილი მაყვალა, ბეგლარაშვილი თამარი, ბეჟუაშვილი ქეთევანი, ბელოზოროვი კონსტანტინე, ბექაური ნაზი, ბერიძე დალი, ბერიძე-ბიბილეიშვილი დალი, ბიწკინაშვილი ესმა, ბოლქვაძე ენრი, ბოლქვაძე ნინო, ბუაძე გოგი, ბუჩაშვილი ნინო, ჩაჩავა კონსტანტინე, ჩაჩუა ინდიკო, ჩაკვეტაძე ეთერი, ჩახუნაშვილი მედეა, ჩახუნაშვილი ქეთევანი, ჩიჩუა-ესართია ნარგიზა, ჩიგოგიძე ზამირა, ჩიგოგიძე-ბულკაშვილი ზამირა, ცინცაძე ვახტანგი, ჩოჩიევა ზამირა, ჩქარეული ნანა, ცქვიტიშვილი ნატო, ჩუხრუკიძე მადლენა, ჩხაიძე მიხეილი, ჩხეტია მიხეილი, დარბიაშვილი ციალა, დარბოაშვილი მერი, დათუაშვილი ნუნუ, დოლიძე მერი, დონაძე ლანდღუ, დუნდუა ნინო, ებიტაშვილი ნინო, ფეიქრიშვილი ეკა, ფსუტური მარია, ფულავა ნინო, გაბოძე ნინო, გაჩეჩილაძე ელენე, გაჩეჩილაძე მარგარიტა, გელაშვილი გიორგი, გერაძე ლეტუშე, გივიაშვილი ვასილი, გოგიაშვილი ვენერა, გოგიბერიძე ელზა, კილაძე სოფიო, ბიბილეიშვილი დალი, ბიწაძე იური, გოგიბერიძე თამილა, გოგლიძე მერი, გოგოლაძე ცისანა, გოგოლაძე მარინე, გოროზიანი ჭიჭიკო, გულბანი ასმათი, კაკონაშვილი ალეკო (ალექსანდრე), კალანდაძე ნორა, კარაპეტიანი ალექსანდრა, კავთიაშვილი ნათელა, კახელიშვილი სონა, კევლიშვილი გიორგი, კიკიანი ლუბა, კიკნაძე ნათელა, მამამთავრიშვილი ნუნუ, დამენია დორა, დამენია ნათელა, გულბანი თაიგული, გურეშიძე იოსები, გურინა ლიდა, გვარამაძე ირინა, ჯაფარიძე მაყვალა, ჯანხოთელი კლარა, ჯავახიშვილი ხათუნა, ჯეირანოვა იზოლდა, ჯობავა-სოსელია თინათინი, ჟორდანია ტოგო, ჟღენტი თამარი, ჟღენტი გიული, ჟღენტი რუსუდანი, ჯუღელი ნატალია, მამულაშვილი ვარდიკო, კირვალიძე-გაჩეჩილაძე მარგარიტა, კობაიძე თენგიზი, კობერიძე დავითი, კობიაშვილი თინა, კომერაშვილი ნარგიზი, კონცელიძე ნინო, კოპაძე ლია, კორკოტაშვილი ბელა, კორკოტაძე ნინო, კვარაცხელია გულიკო, ლაბაძე ევგენია, ლაღიძე ცისმარი, ლაშაური ვალერი, ლეჟავა მელანია, ლეჟავა ნუნუ, ლობჟანიძე ნინო, ლუკავა რეზო, მარგველიანი იმედა, მათიაშვილი ნათელა, მათიაშვილი ნინო, მაჭავარიანი ალექსანდრე, მახარაძე ვენერა, მახარაძე ზაირა, მახაშვილი მარიამი, მახათაძე დულიკო, მელნიკოვა ლიდია, მერებაშვილი დავითი, მერებაშვილი ეთერი, მერებაშვილი გიორგი, მერებაშვილი მარიკა (მათიკო), მესხიშვილი თინათინი, მეუნარგია რუსუდანი, მიქელაძე ნინო, მოდრეკილაძე მანანა, მღებრიშვილი ნონა, მღებრიშვილი, ნუნუ, მუმლაძე ნანა, მუსერიძე ჟუჟუნა, მძელური ლიდია, ნადირაძე ია, სოლოღაშვილი სოფიო, სოსელია თინათინი, სტეფანიშვილი სუსანა, შუბლაძე დოდო, მაღრაძე-ანგელოვა ეთერი, ნიკოლიშვილი ნინო, ნიკურაძე ეკატერინე, ნიკურაძე ლარისა, ოკინაშვილი ელენე, ორბელაშვილი ეთერი, ოსეფაშვილი ეთერი, ოსეფაშვილი ნათელა, ოსეფაშვილი ხათუნა, ოთარაშვილი ეთერი, პაიჭაძე ანა, პაპიაშვილი თამარი, პაპუაშვილი ხათუნა, პაროდიანი სოფიო, ქადაგიძე ნანი, ქაფიანიძე მიხეილი, ქალდანი ცირა. თოდრია ეთერი, თოხმახოვი ვასილი, ტყემალაძე შოთა, ულუმბელაშვილი როზა, შეყილაძე კობა, სილანტიევა ლილი, ვაშაკიძე თამარი, ვოსკანიანი დონარა, ჭაჭია-მარღანია ნუცა, ჭეჟია ლეილა, მაკარაშვილი როზა, ქამხაძე თეიმურაზი, ქართველიშვილი გუგული, ქავთარაძე ნუგზარი, ქაწაშვილი ავთანდილი, ქოქოშვილი ელისაბედი, ქშუტაშვილი ნელი, ქუთათელაძე ხათუნა, ღაღანიძე ქეთევანი, როსტიაშვილი თამარი, ღუდუშაური ნინო, რუხაძე ნათელა, სადუნაშვილი ქეთინო, სამუშია შორენა, სამხარაძე ოლია, სანიკიძე ბაკუ, შაქარაშვილი ზოია, შარაბიძე ლალი, შარაშენიძე ნინო, საყევარაშვილი სოლომონი, საყვარელიძე ინესა, სიმონიანი სოთიკ, სინჯიკაშვილი თეიმურაზი, ხორბალაძე თამარი, ყანდიაშვილი იროდიონი, ზაალიშვილი ნაზი, ზაქარიაძე თენგიზი, სულაძე ფირუზა, სულიკაშვილი ნანა, სხირტლაძე კესო, ტაბატაძე ლეილა, თაბუნიძე რაისა, თათხაშვილი ლამარა, ტავლალაშვილი მარიამი, თევზაია ანასტასია, თითირაშვილი ბელა, თითირაშვილი ნინო, წენგუაშვილი არჩილი, წივილაშვილი ნინო, ჭუმბურიძე ნინო, წვერავა დიმიტრი, ხალატიანი გურამი, ხარაიძე კონსტანტინე, ხეჩინაშვილი სიმონი, ხელაშვილი ზურაბი, ხეროდინაშვილი ლელი, ხოფერია ალბინა, ზარიძე დარეჯანი, ზუბიაშვილი დალი, ზურაბაშვილი ლელა, ზურაბიშვილი მაია, თითირაშვილი თამარი.**

ზემოთ აღნიშნული პირები ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები, კუთვნილი სახელფასო დავალიანების მისაღებად უნდა მობრძანდეთ განცხადებით 2014 წლის 1 ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ.№5, სართული 9; სს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები“;

ანაზღაურების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა; მემკვიდრეობის დამადასტურებელი მოწმობა), საბანკო ანგარიშის ნომერი.

**ანა გვენცაძე,**
**აღმასრულებელი დირექტორი**

◉ წიგნიერების დაბალი დონე!!!

# ჩემი ბიბლიოთეკა ჩემი სულიერი და ზნეობრივი სამყაროა!

## საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული - 2014

**ბიბლიოთეკების კვირეული მიზნად ისახავს ნათლად წარმოაჩინოს ამ დაწესებულებათა ადგილი და დანიშნულება ერის ინტელექტუალური პოტენციალის შემდგომი განვითარებისა და ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. ბიბლიოთეკა თავისი არსითა და დანიშნულებით საზოგადოების სულიერი ცხოვრების ორგანული ნაწილია და, ამდენად, მის წარმატებით მოქმედებაზე ბევრად არის დამოკიდებული მოქალაქეთა აღზრდის, განათლების, ინტელექტუალური ზრდისა და წიგნიერების დონის ამაღლება.**

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული დასაბამს იღებს 2002 წლიდან. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ინიციატივით დაწყებული ბიბლიოთეკები ატარებენ სხვადასხვა სახისა და შინაარსის მასობრივ ღონისძიებებს: შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან, მკითხველთა კონფერენციებს, წიგნების წარდგენას, ლიტერატურულ საღამოებს; ეწყობა დისკუსიები, შეხვედრები წიგნების ავტორებთან... მკითხველი მოსწავლე ახალგაზრდობა გაბედულად ასაბუთებს თავის მოსაზრებას, კამათობს ავტორის მხატვრული ხერხების შესახებ და ა. შ. საზოგადოებასთან ურთიერთობის ასეთი და სხვა ფორმები აშკარად ავლენს მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებებს. ღონისძიებებს აქტიურად უჭერს მხარს ადგილობრივი ხელისუფლება. ბიბლიოთეკების გააქტიურება ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ დაწესებულებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის გამჯობესების აუცილებლობას.



მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებაში წამყვანი ადგილი უკავიათ საჯარო ბიბლიოთეკებს. მათ გააჩნიათ საზოგადოებასთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება. 21-ე საუკუნეში საჯარო ბიბლიოთეკებს უწოდებენ ღია სარკმელს ინფორმაციის სამყაროში. ასეთი ტიპის ბიბლიოთეკები უზრუნველყოფენ მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის უფასო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას. ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ ძირეულად შეცვალა საჯარო ბიბლიოთეკების, როგორც სოციალური ინსტიტუტების მუშაობის შინაარსი და პარამეტრები. როგორც ცნობილია, საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი მნიშვნელოვნად შემცირდა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სოფლის ბიბლიოთეკები შიდა და ქვემო ქართლში, კახეთის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში. ასეთი ტიპის ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი შეინარჩუნეს გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში. ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობის საბიბლიოთეკო მომსახურებას უზრუნველყოფს 600-მდე სასოფლო ბიბლიოთეკა. ბევრი დასახლებული ადგილი, სოფელი, დაბა დარჩენილია ბიბლიოთეკის გარეშე, რაც საფუძვლიან უკმაყოფილებას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში. საჯარო ბიბლიოთეკები აღადგინეს ზოგიერთ მუნიციპალიტეტში. თიანეთის, წყალტუბოს, ხარაგაულის, კახეთის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში სასოფლო ბიბლიოთეკების აღდგენამ მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა მოსახლეობის ინტერესი და დამოკიდებულება კულტურის ამ დაწესებულებისადმი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია საკუთარი შესაძლებლობების პირობებში ცდილობენ ხელი შეუწყონ საჯარო ბიბლიოთეკებში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვას. აუცილებელია ბიბლიოთეკების განვითარებისადმი დამოკიდებულება შეცვალოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ. თანამედროვე მკითხველი არ კმაყოფილდება ბიბლიოთეკებში არსებული მხოლოდ რეტროსპექტული გამოცემებით, იმის გამო, რომ საგრძნობლად დაბალია საჯარო ბიბლიოთეკებში ფონდების განახლების მაჩვენებელი, ასევე თვალში საცემია მკითხველი საზოგადოების შენელებული ინტერესი ამ დაწესებულებებისადმი.

ბიბლიოთეკების კვირეულის ერთ-ერთ მიზანს შეადგენს ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულების შეცვლა, მათი შემობრუნება მოსახლეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესებისა და მისწრაფებების დაკმაყოფილებისაკენ. საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი თავისი განფენილობის პარამეტრებით, შინაარსითა და ტექნიკური აღჭურვილობის დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის ქვეყნებში საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის მოწყობის სტანდარტებს.

ცნობილია, რომ თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების დიდი ნაწილი კითხულობს სოციალურად აქტუალურ თემებზე. კითხვა მოტივირებულია რაციონალიზმითა და პრაგმატიზმით, კითხვისადმი ინტერესის შენელება, მოსახლეობის კითხვადობის დაბალი დონე უნდა განვიხილოთ როგორც სოციალურად საშიში მოვლენა. კითხვამ არ უნდა დაკარგოს ეროვნული ტრადიციები, ბეჭდური წიგნი უნდა განვიხილოთ როგორც ეროვნული კულტურის უნიკალური წყარო. საქართველოს ბიბლიოთეკები ფლობენ მდიდარ შემოქმედებით და ინტელექტუალურ პოტენციალს. ბიბლიოთეკის ძირითადი რესურსი წიგნია ბეჭდური და ელექტრონული ფორმით. ბიბლიოთეკა, როგორც ორგანიზებული ცოდნა, უნდა ფლობდეს საკუთარი პროფილის შესაბამისი ფონდების ერთობლიობას...

კვირეული წელს ტარდება დევიზით „ჩემი ბიბლიოთეკა ჩემი სამყაროა“. 30 აპრილს აღინიშნება ბიბლიოთეკარის დღე. თავიანთ პროფესიულ დღეს ბიბლიოთეკარები ხვდებიან ხალისით, მკითხველებთან ურთიერთობის ნაირფეროვანი ღონისძიებების მოწყობით. წიგნის კითხვისადმი ინტერესის აღძვრა, წიგნიერების დონის ამაღლება ბიბლიოთეკარისაგან მოითხოვს ამ პროცესის მასტიმულირებელი საშუალებების დახვეწას. ბიბლიოთეკას საკუთარი მისია და ადგილი უკავია განათლების სისტემაში. წიგნისა და ბიბლიოთეკის საშუალებით მიიღება ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალიდან სოციალური თუ ეკონომიკური ეფექტი. ასეთი დამოკიდებულების გააზრებით სულ უფრო ნათელი ხდება ბიბლიოთეკებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის მკვეთრი ცვალებადობის აუცილებლობა.

კითხვადობისა და წიგნიერების დაბალი დონე, რითაც ხასიათდება ჩვენი ქვეყანა თანამედროვე ეტაპზე, დაძლეული უნდა იქნეს საგანმანათლებლო სისტემის არსებითი ტრანსფორმაციით, ბიბლიოთეკების კვირეული არსებითად ამაღლებს საზოგადოების ინტერესს კულტურის ასეთი დაწესებულებებისადმი, ზრდის წიგნის როლს პიროვნების სულიერი დახვეწისა და ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

**გურამ თაყნიაშვილი**

გურამ საღარაძე – 75

# „მაზანდარანელი ვეფხვის“ რაჭველი მომთვინიერებელი



**უფროსი თაობის ადამიანებს, იმედია, ახსოვთ ირანული ფილმი „მაზანდარანელი ვეფხვი“, რომელშიც ცნობილი სპარსი ფალავნის, მელბურნის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულისა და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის იმამ ალი ჰაბიბის ცხოვრებაა ასახული აღმოსავლური ფილმებისთვის დამახასიათებელი თითქმის დაუჯერებელი ეპიზოდებით. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, როცა ჰაბიბი შიშველი ხელებით ჯიქსაც კი ახრჩობს. იგი მაზანდარანის პროვინციიდან იყო და მადლიერმა ქომაგებმა „მაზანდარანელი ვეფხვი“ შეარქვეს. სწორედ ეს ბეჭდაუდებელი ფალავანი ეწვია ირანის ნაკრებთან ერთად 1961 წელს საბჭოთა კავშირს. სპარსმა მორკინალმა, რომელმაც „ჭიდაობის პროფესორ“ ვახტანგ ბალავაძეს წაართვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება, ტრიუმფით მოიარა მოსკოვი და მინსკი. ერთი ამოსუნთქვით დაუმარცხებია საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონები – ალიმბეკ ბესთაევი, მიხეილ ბეკმურზოვი, გარსევან ჭავჭავაძე, მინსკელი გორბატენკო.**



თბილისში ელვის სისწრაფით გაირბინა ინფორმაციამ – ცირკის არენაზე ჰაბიბიმ უნდა იჭიდაოსო. იმდენმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი, რომ ნემსის ჩასავარდნი ადგილი არსად იყო. ჯერ კიდევ არ იცოდნენ ქომაგებმა, რომ ირანელ ლეგენდას სრულიად ახალგაზრდა გურამ საღარაძე უნდა დასჭიდებოდა...

ელვისებურ ფანდებს ბავშვობიდანვე ეზიარა. არც იყო გასაკვირი: მამამისი – ამბროლაურის რაიონის სოფელ პატარა ონის მკვიდრი რევაზ საღარაძე – კარგ ოსტატად ითვლებოდა, ბიძა – იორამ საღარაძე კი ერთხანს საკავშირო ნაკრების წევრიც კი გახლდათ. გურამ საღარაძე ჭაბუკობისას ხშირად მონაწილეობდა თანატოლთა ტურნირებში, მაგრამ გული მარტო ხალიჩისკენ როდი მიუწევდა – წიგნი იყო და დარჩა სახელოვანი ფალავნის მუდმივ თანამგზავრად. ვინც ამ ტიტულოვან სპორტსმენს ახლოს იცნობს, ამაში აუცილებლად დამეთანხმება. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ბატონმა გურამმა დედაქალაქის ვერისუბნის ვაჟთა მე-8, იგივე „დობრი მიშკას“ სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა (სხვათა შორის, მისი ერთ-ერთი პედაგოგი ცნობილი თამადა და საზოგადო მოღვაწე სიმონიკა სხირტლაძე იყო) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი გახლდათ. ის-ის იყო, დიდი ჭიდაობის კარიბჭის ზღურბლზე უნდა გადაებიჯებინა, რომ თბილისს სპარსი ფალავანი ეწვია.

– ჰაბიბი ჩემთვისაც ისეთივე ლეგენდა იყო, როგორიც მილიონობით გულშემატკივრისთვის, – იხსენებს ბატონი გურამი. – თბილისში მის წინააღმდეგ ვახტანგ ბალავაძეს უნდა ეჭიდავა, მაგრამ ბატონი ვახტანგი მაშინ შეუძლოდ იყო და საკავშირო ნაკრების მწვრთნელმა ეს მისია მე დამაკისრა, თან შემაგულიანა – თუ სძლევ, მსოფლიოს ჩემპიონატებისკენ გზა ხსნილი გექნებაო. ორთაბრძოლის მოსაგებად მოტივაცია მომემატა, თუმცა უდიდესი პასუხისმგებლობის ფსიქოლოგიური წნეხიც მთრგუნავდა.

ტაშის გრიალითა და შეძახილებით შეხვდნენ ჰაბიბის ფეხზე ამდგარი მაყურებლები. მისი მეტოქის გვარის გამოცხადებისას წამიერად გაისუსა მთელი დარბაზი. მერე იქუხა ტაშმა ჭაბუკი ფალავნის გასამხნევებლად. მსაჯის ნიშანზე ისიც უმალ ეკვეთა მეტოქეს, ორი ქულა აართვა. არ ელოდა უცნობი ჭაბუკისგან ასეთ სითამამეს „მაზანდარანელი ვეფხვი“. შედრკა. ამით ისარგებლა საღარაძემ და კიდევ ორი ქულით გაზარდა ანგარიშში სხვაობა.

**– ირანელი სამჯერ გადავიყვანე ჩოქბჯენში და 6:2 რომ დავწინაურდი, ისე მოვიქანცე, ჰაბიბის სახესაც ველარ ვარჩევდი. ის კი კლდესავით იდგა და მიტევდა. ეტყობა, მთელი ძალა ორთაბრძოლის პირველ წუთებს შევალიე. მეტოქეს კი იმდენი ენერგია შერჩა, ალბათ, სამი ჩემნაირის დასამარცხებლად ეყოფოდა. საამისოდ ფიზიკური მონაცემებიც ჰქონდა და ტაქტიკაც. ვგრძნობდი, ქულებით თანდათან მეწეოდა. გონგის ხმა არც გამიგია. პაექრობის დამთავრებას მხოლოდ დარბაზის რეაქციით მივხვდი. ბედნიერი ვიყავი იმ გამარჯვებით. ჰაბიბისთან ის ერთი შერკინება ჩემთვის მთელი სკოლა იყო, რადგანაც მაშინ ბევრი რამ ვისწავლე.**



მარცხნიდან: იორამ, გურამ, რევაზ საღარაძეები

დიახ, ისწავლა, როგორ ეჭიდავა ლამაზად, როგორ გაენაწილებინა ძალები, როგორ მოეხიბლა გულშემატკივარი. ამიტომაც შენიშნავს მსოფლიოს ჩემპიონი და სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ სინიავსკი, რომ **„მას არ უყვარდა მოსაწყენი, ძალისმიერი ჭიდაობა. მისი სტიქია იყო მოულოდნელი იერიში, აფეთქება. ძლიერი და ლამაზი მოჭიდავე გახლდათ გურამ საღარაძე“.** ჰაბიბისთან გამარჯვების შემდეგ თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველ ფალავანს მეტი ყურადღება მიაქციეს ნაკრების მწვრთნელებმა და გზა გაიკაფა საერთაშორისო სარბიელისკენ. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ და „ბურევესტნიკის“ წევრმა 1961-1969 წლებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია: 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა, მსოფლიო ჩემპიონატებზე ორჯერ ოქროს (1963, 1965) და ამდენჯერვე ვერცხლის (1966, 1967) ჯილდო მოიპოვა, 1965 წლის ევროპის ჩემპიონს 1968-1969 წლებში კონტინენტის პირველობებზე „ბრინჯაოები“ ერგო, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე ზედიზედ სამჯერ (1964-1966) გაიმარჯვა, ექვსჯერ საერთაშორისო ტურნირების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონ დავით გობეჯიშვილის აღმზრდელი, დაჯილდოებულია ორჯერ ფილას, ასევე, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენებით. თბილისის საპატიო მოქალაქე ამჟამად ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ გენერალური დირექტორი და ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარეა.

სპორტული კარიერის განმავლობაში ქართველ ფალავანს მრავალ მეტოქესთან შეხვედრა ახსოვს, თუმცა ერთი მათგანი განსაკუთრებით შემორჩა მის მეხსიერებას – თურქი მსოფლიოს ჩემპიონი ისმაილ ოგანი, რომელმაც ეშმაკობით აჯობა ჩვენებურს და 1964 წელს ოლიმპიური „ოქრო“ აართვა. პირველად მათი გზები 1963 წელს სოფიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გადაიკვეთა. მაშინ თურქი რომის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი იყო. საჭიდაოდ ტანზე ზეთის თხელფენაწასმული გადიოდა. რომ გაოფლიანდებოდა, მეტოქეები ხელის ჩავლებას ვერ ახერხებდნენ.

**– იტალიელმა მსაჯმა ოგანს პირსახოცით რამდენჯერმე გააწმენდინა ტანი, მაგრამ შენიშვნა არ მიუცია, არც იმისთვის გაუფრთხილებია, რომ ჭიდაობას გაურბოდა. თურქს იმის იმედი ჰქონდა, რომ ჩემთან ფრედ. დამთავრებული შეხვედრით ჩემპიონი გახდებოდა. არაფერი გამოუვიდა – ყველა მეტოქე დავამარცხე და პირველი ადგილი დავიკავე. თავად კი ბულგარელ პეტკო დერმენჯიევთან წააგო და მესამე ადგილს დასჯერდა. სამაგიეროდ, ოგანმა ეშმაკობით ტოკიოს ოლიმპიადაზე მაჯობა. მაშინაც ჩემთან შეხვედრა ფრედ დაამთავრა. ორივემ ერთნაირი საჯარიმო ქულები დავაგროვეთ. იგი ჩემზე 400 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და ჩემპიონიც გახდა, ვერცხლის მედალი მე მერგო.**

**– ბატონო გურამ, საქართველოში სპორტის და, კერძოდ, ჭიდაობის დღევანდელ მდგომარეობაზე რას იტყვით?**

– ცუდად ნამდვილად არ გვაქვს საქმე, მაგრამ სამამულო სპორტის ტრადიციები მეტს გვავალებს. როგორც ჭიდაობის ოჯახიდან მოსული და ახლაც ამ დიდი ოჯახის წევრი, ვიტყვი, რომ სპორტის ამ სახეობას მეტი ყურადღება, დაფინანსება სჭირდება. უპირველესად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურაა ძირფესვიანად შესაცვლელი. ჩვენი ფალავანთა კლუბი დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს ველარ აკმაყოფილებს, რომ არაფერი ვთქვათ პერიფერიების ამორტიზებულ დარბაზებსა და ინვენტარზე. რამდენჯერმე ვიყავი დაღესტანში. იქ თითქმის ყველა აულში აქვთ კეთილმოწყობილი დარბაზები; თეირანში არის ერთი დიდი სახლი – უჩვეულო მრგვალი ფორმის, „ზურ-ხანე“ ჰქვია, სპეციალურად მოჭიდავეებისა და ძალოსნებისთვის აშენებული. ქართველმა ფალავნებმა საერთაშორისო სარბიელზე მიღწეული გამარჯვებებით, დიდი ხანია, დაიმსახურეს – თბილისში ჭიდაობის სასახლე ჰქონდეთ. ეროვნული საუნჯე – ქართული ჭიდაობაც მსგავს პატივს იმსახურებს. ჭიდაობა საქართველოში სტრატეგიულ სახეობად და ქვეყნის სადარბაზო ბარათად უნდა გადაიქცეს.

**– თქვენ ინფრასტრუქტურა ახსენეთ. ამ დღეებში ხმა დაირხა, „ლაგუნა ვერეს“ ანგრევენო...**

– ყურმოკვრით მეც გავიგე მსგავსი რამ, თუმცა დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით. „ლაგუნა ვერე“ ყოველთვის იყო ოაზისი ქალაქის ცენტრში, მტკვრის სანაპიროზე, სადაც უამრავი ადამიანი იყრიდა თავს, განსაკუთრებით – ზაფხულობით. კარგია, თუკი კაპიტალურად შეკეთდება, გაუქმება კი არამც და არამც არ იქნება გამართლებული.

**– როგორც აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით გამორჩეულ პიროვნებას, დღევანდელი მთავრობის პოლიტიკაზეც მინდა გკითხოთ.**

– 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ ხალისი მომემატა. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ქართველებს იმედი ჩაგვისახა, ბოროტებას და განსაცდელს აგვაშორა. უფალმა მოწყალების თვალით გადმოგვხედა, ასეთი კაცი რომ მოგვივლინა. ცხადია, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის აღმოსაფხვრელ-გამოსასწორებელი, მაგრამ ყველაფრის ხელის ერთი მოსმით გაკეთება შეუძლებელია. დრო და მოთმინება უნდა. მორწმუნე კაცი ვარ და მჯერა, რომ ჩვენი ბრძენი პატრიარქის ლოცვაკურთხევით, პატიოსანი ადამიანების თანადგომით ბედნიერ მომავალს, შესანიშნავ საქართველოს ავაშენებთ.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

**„სრ“ რედაქციისგან: გულწრფელად ვულოცავთ ჩვენთვის ჯერ კაცობის და, მხოლოდ ამის შემდეგ, ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონს, ჩვენი გაზეთის ერთგულ ავტორსა და მეგობარს, ბატონ გურამ საღარაძეს საიუბილეო თარიღს!. იხარეთ და იდღეგრძელეთ, ბატონო გურამ!**

ფეხბურთი

# მოიესი გადარჩა

**დღეს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში 15 საათზე მოეწყობა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტთა წილისყრა, რომლის პირდაპირ ტელერეპორტაჟსაც სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“ შემოგვთავაზებს.**

**ალბათ, საგულისხმოა ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ძირითად ბადეში შემორჩენილთა წარმომადგენლობა ქვეყნების მიხედვით:**

**ესპანეთი – 3 („ბარსელონა“, „რეალი“, „ატლეტიკო“),**

**ინგლისი – 2 („ჩელსი“, „მანჩესტერი“),**

**გერმანია – 2 („ბაიერნი“, „ბორუსია“),**

**საფრანგეთი – 1 („პარი სენ-ჟერმენი“).**

მორიგი ეტაპისკენ მიმავალ მატარებელს უკანასკნელნი „წითელი ეშმაკუნები“ შეახტნენ, – რობინ ვან პერსის „ჰეთ-თრიქით“ ორბურთიანი ჰანდიკაპი ამოუქაჩეს პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ – 3:0 (პირველი მატჩი 0:2) და ამით თანამდებობა შეუნარჩუნეს საკუთარ მწვრთნელ დევიდ მოიესს.

მოგეხსენებათ, სერ ალექს ფერგიუსონის ნაამაგარი კლუბი ამ სეზონში უჩვეულოდ სუსტად გამოიყურება პრემიერლიგაში და არაა გამორიცხული, პირველად XXI საუკუნეში, წლეულს საერთაშორისო სარბიელს მიღმა აღმოჩნდეს. ბუნებრივია, „ოლდ ტრაფორდის“ ბინადართა შესაძლო კრახს უპირველესად მისი თავკაცი შეეწირება, ბერძნებთან მოპოვებული ლოკალური წარმატებით კი საფიქრებელია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტის უმუშევრად დარჩენა გარკვეული ვადით გადაიწევს.

**„ბორუსია“ – „ზენიტი“ 1:2 (პირველი მატჩი 4:2).**

**გიორგი შოთაძე**



საოჯახო ალბომი

# „ვაჟას ყვავილების ცრემლებად იქცა“...

**ცნობილი პოეტის – თემურ ჩალაბაშვილის საოჯახო ალბომში გამორჩეულია 1984 წელს ჩარგალში ვაჟა-ფშაველას შვილთან – გულქან რაზიკაშვილთან გადაღებული ფოტო.**

„ჩარგალში რაზიკაშვილებთან ხშირად



ვისვენებდით და ჩოლა რაზიკაშვილის ოჯახს ვსტუმრობდით. ისინი ვაჟას ფუძისშვილები იყვნენ, ერთი შტოს წარმომადგენლები. ეს იყო საოცარი კაცი, მის ოჯახში ხშირად გაშლილა დიდი სუფრები. ვაჟაობა ახლად დაწყებული იყო, მაშინ დღეობებს ეძახდნენ. დიდი პურმარილი სტუმრებისთვის ჭალაში იშლებოდა ხოლმე. ჩოლა კი, იგივე გიორგი ოჯახში გვეპატიჟებოდა, საგანგებოდ ამ დღისთვის ხარს ან ძროხას კლავდნენ, იმ სუფრაზე, მახსოვს, ლევან რაზიკაშვილის შვილი – ლუკაც იყო. მაშინ საგანგებოდ ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლები ჩავიყვანე ომარ კელაპტრიშვილთან ერთად. დიდი სუფრა გაშალა ჩოლამ, რომელსაც ვახტანგ გურგენიძე თამადობდა. ჩოლა ტრაგიკულად დაიღუპა – დიდი კაკალი ედგათ ეზოში, ჩამოვარდა და მოკვდა.

სურათზე ბეჟანი 4 წლისაა, გულქანი 84 წლამდე იქნებოდა მაშინ...

**– ამ ფოტოს შთაგონებამ ხომ არ დაგაწერინათ მოგონება – „გულქანი – მამაის პირიმზე“?**

– რა თქმა უნდა, ის დღეები და ის წუთებიც, როცა ფოტო გადაგვიღეს, დაუვიწყარია ჩემთვის. დროთა განმავლობაში, მართლაც, ლამაზი მოგონება აიკინძა, რომელიც ასე იწყება:

„მოგონებებს თავს ვერ ვუყრი, ვაჟას გულქანზე ფიქრი ხომ ტკივილიანი მიახლებაა მწერლის დიდ შემოქმედებასთან და აი, ჩემს თვალწინ ცოცხლდება საოცარი ჩარგალი. ეზოში ზის წელში ღრმად მოხრილი, დაპატარავებული, კაფანდარა ქალი, წინდას ქსოვს, გვერდით ფანდური უყუდია. იქვე ხბორები დაკუნტრუშობენ; ქალი, თითქოს, ძილღვიძილშია, სხვა სიზმრებითაა ალდაკრული. წამით, აჩერებს ქსოვას, დასწვდება ფანდურს და იღვრება უცნაური, მისეული, ფშაური მელოდიები. მგონი, მამის ლექსებს ღიღინებს, ხმა უკრთის, ლანდებს უხმობს წარსულიდან, მთებს ელაპარაკება, მამას ეძახის...

მაგონდება ჩარგლის წვიმაგადავლილი შუადღე: ლამარა ჯაფარიძემ ვაჟას „არწივი“ უმღერა გულქანს, უნდა გენახათ, ისედაც პატარა ქალი უფრო დაპატარავდა, თითქოს მთების ცვარნამში გაიბნა, ვაჟას ყვავილების ცრემლებად იქცა. ვინ იცის, რას ფიქრობდა ამ დროს? იქნებ, დიდი მამის ხმა სწვდებოდა მის ყურთასმენას, თავი კალთაში ჩაერგო, მხრების ცახცახზე მიხვდებოდით, რომ ტიროდა. ვინ იცის, რა გაახსენდა, რომელი მოგონება ამოიწვერა მის საოცრად ცინცხალ გონებაში... ან კი, როგორ იტანდა მისი სუსტი მხრები ბუმბერაზი მამის შვილობას, ხშირად მავანთა თვალში, დიდი შემოქმედის შვილი სასაცილოდ ჩანს ხოლმე. ცოდვა გამხელილი სჯობს, ასეთ ყოფაში იყო გულქანიც. ერთი შეხედვით, იფიქრებდით, რომ არას დაგიდევდათ სხვის აზრებს, არ ამჟღავნებდა, მაგრამ, სინამდვილეში, იტანჯებოდა, იტანჯებოდა და როგორ...

სიტყვა აწონილი ჰქონდა, ანდა, რა გასაკვირი იყო დიდი ვაჟას ანასხლეტი სხივისგან. იცოდა, კარგად იცოდა, რას ნიშნავდა დიდი ვაჟას შვილობა: გულქანი ძუნწად მოლაპარაკე ქალი იყო. აკი გითხარით. ხასიათის ადამიანი გახლდათ „საწყალი“, მამაის ალიკვალი ვარ, – იტყოდა. ერთხელ, გამომიტყდა, როგორ ნანობდა, რომ მამაი ვერ დაიტირა. ვერ დაუსველა ცრემლებით ნაამაგარი მხრები. ისიც მოყვა, როგორ არ უშვებდნენ მამის ცხედართან, ქაშვეთის ეკლესიაში, მის დას მარიამს, რომელიც ახმეტიდან ცხენით ჩამოქარდა, თურმე. პოლიცია არ უჯერებდა, რომ ვაჟას ქალიშვილი იყო. ბოლოს, უმწეო ქალს აღმოხდენია: „ვაჟას ქალი ვარ, მიმიშვით, საკუთარი მამა მატირეთო“. ძმებზე – ლევანსა და ვახტანგზეც საუბრობდა ხანდახან, როგორც თავად იტყოდა, ნება-ნება.



დავიწყების ბურუსი ვერ დაბინდავს დღეებს, რომლებიც შენში ცოცხლობენ, ნიადაგ“...

**– მეორე ფოტოზე მიხეილ ქვლივიძესთან და გივი შეყილაძესთან ერთად ხართ გადაღებული. ამ ფოტოს ისტორიაც, ვიცი, რომ ჩოლა რაზიკაშვილის ოჯახს უკავშირდება...**

– ამ დღეს ჩოლას ქალიშვილმა – მარინამ ხინკალზე მიგვიპატიჟა. მარინას ბიძაშვილის – გიორგის ნათლია ვარ და ნათლიდედამ მიგვიწვია ოჯახში. მარინა დღესაც შესანიშნავი ხინკლით უმასპინძლდება ვაჟაობის სტუმრებს. მიშამ რომ გაიგო რაზიკაშვილების ოჯახში იმყოფებოდა, პოეზიის დიდი ზეიმი გაიმართა, მაშინ ახალგაზრდა იყო, შვილი – გიორგი პატარა ჰყავდა და ხალისობდა.



ძირითადად, მოსკოვში ცხოვრობდა. ბინა არ ჰქონდა და თბილისში ჩამოსული სასტუმრო „ივერიაში“, მე-16 სართულზე ერთ ოთახში ცხოვრობდა ხოლმე. 50 წლის რომ გახდა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო



უნივერსიტეტმა დიდი საღამო გაუმართა. აქედან დავმეგობრდით. მარტის ბოლო იყო, დედაჩემმა კახეთიდან ჭინჭარი და სატაცური გამომიგზავნა. მიშა მოვიპატიჟე. კარგ გუნებაზე იყო – ბებო გამახსენდაო, ხაშმში ჭინჭრის საკრეფად მეც ხშირად გავყოლილვარო, – მითხრა.

რომ გავაცილე, უკვე გვიანი იყო... ქუჩაში ჩვენს გასვლას ძლიერი ჭექა-ქუხილი დაერთო, ცა ნათდებოდა, საოცარი ცა იყო. მიშას უხაროდა, კარგა ხანია ასეთი ღამე თბილისში არ მინახავსო.

მეც მიხაროდა მის გვერდით ყოფნა, რადგან მოსკოვში ცხოვრობდა, გვერდიდან არ ვიშორებდი, რომ თბილისს მისჩვეოდა.

**– ჩალაბაშვილების საოჯახო ალბომში გამორჩეულია ორი ფოტო – ჭაბუა ამირეჯიბთან და ზურაბ ქაფიანიძესთან ერთად გადაღებული...**

– ჭაბუასთან ოჯახში ბეჟანი ხშირად მიმყავდა. ერთხელ მითხრა, ჩემდამი მოძღვნილ ლექსებს შენ მოუყარე თავი და ურედაქტორეო. მისი მეუღლე თამარი სახელდახელო სუფრას გაგვიშლიდა ხოლმე... ჭაბუ, – ეტყოდა, – წიგნებზე ყველას წაუწერეო. მისი ნაჩუქარი წიგნები ძვირფასი რელიკვიაა ჩვენი ოჯახისთვის. ერთხელ კახური ქუდი ვაჩუქე და რამდენჯერაც მივედი, ის ქუდი ეხურა...

ზურაბ ქაფიანიძეც მყოლია ხინკალზე რაზიკაშვილების ოჯახში. მხურვალე ძმობა გვქონდა. ხშირად მირეკავდა ხოლმე, ერთხელ ღამის 2 საათზე დარეკა ტელეფონმა. გვიანი იყო და ვუსაყვედურესავით – რა გინდოდა, რას მერჩოდი-მეთქი, რატომ მიბრაზდები, შენი ძმა ქაფიანიძე ვარ, შენს ლექსებს ვკითხულობ და ვტირივარო, – მითხრა.

მერე ლექსიც მივუძღვენი:

„ვერ გაცეკვეს მეფის კარზე,  
ვერ შეგცვალა დრომო,  
საქართველოს ბედიღბალზე  
მოღრიალე ლომო!“

მსახიობმა, ზურას გაზრდილმა გია ჯაფარიძემ რაჭაში ქვა იპოვა და ეს ლექსი ზედ ამოკაწრა. მერე ის ქვა დიდუბეში ზურას საფლავზე დადო....

**თამარ შაიშმელაშვილი**

**სურათებზე: გულქან რაზიკაშვილთან ერთად; გივი შეყილაძე, თემურ ჩალაბაშვილი, მიხეილ ქვლივიძე; ჭაბუა ამირეჯიბთან ერთად; თემურ ჩალბაშვილი და ზურაბ ქაფიანიძე.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ივერი ჭელიძეს ძმის**

**დემურ ჭელიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---



**რომან, გულნარა, თამარ, ირაკლი მელიები, გულიკო ოსიავა დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამორჩეული პიროვნება, ცნობილი სამეურნეო მუშაკი, დედაქალაქის ერთ-ერთი კოლორიტი**

**გუჯა მამაგეიშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 22 III, 15 სთ. ვაკის წმინდა სამების სახელობის ეკლესიიდან (ყოფილი სტუდქალაქის ტერიტორია).**

---

**შვილები ზურაბი, თამარი, ირაკლი, შვილიშვილები ირინა, მეგი ჩიქობავები, მეგი, გუგა, ივა, ლუკა შელიები, შვილთაშვილი ნუცა ქვლივიძე, სიძე ვალერი ჩიქობავა, რძალი მანანა ნიკოლაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**კლიმენტი ივანეს ძე შელია**

**პანაშვიდი 21, 22 III, გამოსვენება 23 III, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 42, მე-3 სად. მე-5 სართ.**

---

ინფორმაცია

## დაკავებული არიან თაღლითები

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ოთხი პირი პასუხისგებაში მისცეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, სახელმწიფო თანხების თაღლითური გზით დაუფლების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, შპს „ავტომობილი 2003“-ს დირექტორი გელა შეყილაძე პასუხისგებაში მისცეს. ხოლო, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, პასუხისგებაში მიცემულ იქნენ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის, ინფრასტრუქტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსი გიორგი არჩვაძე და ამავე სამსახურის სპეციალისტები დავით დანელია და თამაზ ბაღაშვილი.**

**გამოძიებით დადგინდა, რომ 2012-2013 წლებში რუსთავის მერიასა და შპს „ავტომობილი 2003“-ს შორის, რუსთავის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების გატანის თაობაზე, ხელშეკრულება გაფორმდა, რა დროსაც, საწარმოს მხრიდან თვითმმართველი ქალაქ რუსთავისთვის წარდგენილ საანგარიშსწორებო დოკუმენტებში, ყალბი მონაცემების შეტანის გზით, ზედმეტად იქნა ნაჩვენები 119 275 ლარის მომსახურების გაწევა. ტენდერის პირობების თანახმად, შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლი ევალებოდა რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსს გიორგი არჩვაძეს და ამავე სამსახურის სპეციალისტებს დავით დანელიას და თამაზ ბაღაშვილს. აღნიშნულის მიუხედავად, მათ არაჯეროვნად შეასრულეს დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობები, რითაც შპს „ავტომობილი 2003“-ის ხელმძღვანელებმა ისარგებლეს და ქალაქ რუსთავის საბიუჯეტო თანხებს თაღლითური გზით დაეუფლნენ.**

**გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე, და 342-ე მუხლებით, რაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 6 დან 9 წლამდე.**

**ინტერპრესი**

რეკლამა
„საქართველოს ესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

**გამოფენა**

# ფარდაგებდაფენილი მეგობრობის ხიდი

**საქართველოში აზერბაიჯანული კულტურის კერამ „Akhundov House“-მა 19 მარტს მიწვეულ სტუმრებს საგამოფენო სივრცე ნატიფი გემოვნებით შესრულებულ აზერბაიჯანული ფარდაგების თანამედროვე ნიმუშებს დაუთმო, რომელთა შემქმნელებიც საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ქალბატონები არიან.**



„re Woven“ – „ხელახლა ნაქსოვი“ – ასე ეწოდება საქართველოში მცხოვრები რამდენიმე ქალბატონის მიერ შექმნილი ფარდაგების გამოფენას, რისი ტრადიცია ერთიანად კავკასიური კულტურის განუყოფელი ნაწილია. აზერბაიჯანული ნაქსოვების მშვენიერი გამოფენის ხიბლი კიდევ ის გახლავთ, რომ ძირძველი ხელოვნების აღორძინებაში უდიდესი წვლილი ამერიკულ „Millennium Relief and Development Servies“-ის ადგილობრივ არაკომერციულ ორგანიზაციას „Caucasus Hope Partnerships“-სა და მის დამფუძნებელსა და დირექტორს, „re Woven“ პროექტის კურატორს, ბატონ რაიან სმითს ეკუთვნის, ვისთან შეხვედრაც საქართველოში აზერბაიჯანული კულტურის ცენტრის არტ-დირექტორის არჩილ ბეჟანიშვილის დახმარებით შედგა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.



– კავკასიური ფარდაგების თემით აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში რამდენიმეწლიანი ცხოვრების დროს დავინტერესდი. საქმე ისაა, რომ ხალხური რეწვის ამ უძველესი ტრადიციის მქონე შემოქმედების დიდებული ნიმუშები „ბორჩალოს“, „ყარაჩოფის“, „ფახრალოსა“ და სხვათა სახელებით, მსოფლიოს წამყვან აუქციონებზე მუდამ იწვევდა საზოგადოების დიდ ინტერესს, მყიდველი არასოდეს აკლდა, – თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში ბატონმა რაიან სმითმა. – კავკასიური ფარდაგები მრავალი ქვეყნის მუზეუმისა და კერძო პირის კოლექციებშია დაცული, ინტერესი დიდია, ამიტომაც მათი ქსოვის ისტორიული ტრადიციის აღორძინება, ჩემი აზრით, ის საკითხია, რომლისთვისაც გარჯა ღირს. საქართველოში 129 აზერბაიჯანული დასახლებაა და მათგან მხოლოდ ორშია შემორჩენილი ორი ათეული ფეიქარი ქალბატონი, თუმცა კი, სათანადო დახმარების გარეშე საქმის მიყოლა მათთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ზოგიერთ მათგანს წლების მანძილზე არ უქსოვია და ამ კეთილშობილური საქმის კეთებაზე, შესაძლოა, აღარც ეფიქრა, რომ არა „Caucasus Hope Partnerships“-ის პროექტი, რომლის საქმიანობა კავკასიის განვითარებაზეა მიმართული და ფეიქართა და მათ თემთა კეთილდღეობის ამაღლებას ისახავს მიზნად.

ბატონ რაიან სმითის თქმით, პროექტის ფარგლებში შესრულებულ ხელოვნების ნიმუშთა გაყიდვით მიღებული შემოსავალი როგორც უშუალოდ ავტორებს, ასევე მათ თემებს მოხმარდებათ, რაშიც შესაძლო დახმარებას – როგორც საჭირო მასალების მიწოდებაში, ასევე ნამუშევართა გაყიდვის ორგანიზაციაში „Caucasus Hope Partnerships“-ი გაუწევს.

კითხვაზე, თუ რამ განაპირობა ბატონ სმითის ყურადღება უშუალოდ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ფეიქრების მიმართ, მან აღნიშნა, რომ მისი მეუღლე ჩვენში ინგლისური ენის შესწავლის პროექტის ფარგლებში საქართველოში მოღვაწეობს, ამდენად, მისი ჩამოსვლა ამით იყო განპირობებული, თუმცა კი ქვეყანამ, ისევე, როგორც ერთიანად კავკასიამ მის გულში სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა.

გამოფენა თვის ბოლომდე გასტანს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**სურათზე: გამოფენის კურატორები არჩილ ბეჟანიშვილი და რაიან სმითი; საგამოფენო დარბაზი.**

**გივი ჟოლბორდის ფოტო.**

**ცინცხალი ანეკდოტები**

**– მეტის ატანა არ შემიძლია, – წუწუნებს ცოლი, – შენ რა ხანია, ნაშუაღამევს ბრუნდები სახლში, მაღვიძებ და მერე დიდხანს ვერ ვიძინებ.**

**– მეტი ფული მომეცი, – ეუბნება ქმარი, – და დილაობით მოვალ სახლში!**

*** * ***

**ანალიზების ჩაბარების შემდეგ ავადმყოფი ექიმთან მიდის და ეკითხება:**

**– რაიმე კარგს მეტყვით, ექიმო?**

**– რა თქმა უნდა, გეტყვით: ადამიანთა ორგანოებზე მონადირეთათვის თქვენ უკვე არა ხართ საინტერესო.**



*** * ***

**რობინზონი და პარასკევა თავიანთ უკაცრიელ კუნძულზე სხედან.**

**რობინზონი ნარკოტიკიან სიგარეტს ამზადებს მოსაწევად და პარასკევას ეკითხება:**

**– მოსწევ?**

**– არა, ამბობენ, რომ მოწევა ჯანმრთელობისთვის მავნებელია.**

**– ვინ ამბობს?**

*** * ***

**ორი ნარკომანი ერთმანეთს ხვდება. ერთს თოხი მოაქვს.**

**– რად გინდა თოხი?**

**– სარეველები უნდა ამოვძირკვო.**

**– რა სარეველები?**

**– ბაღში კანაფი დავთესე, იქ კი პამიდვრები გაიჩითნენ!**

**ჩვენი პრესდაიჯესტი**

## ჟურნალ-გაზეთებიდან



### „ჯავახეთში რუსული პროვოკაცია ვერ განხორციელდება“

სომხეთის პარლამენტის წევრმა შირაკ ტოროსიანმა ორი დღის წინ კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი. დეპუტატმა, რომელიც ანტიქართული გამოხდომებით გამოირჩევა, განაცხადა, რომ ჯავახეთის რეგიონში აჯანყება გარდაუვალი იქნება. ტოროსიანის განცხადებით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება. ჯავახეთის მოსახლეობა ტოროსიანის განცხადებას დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია და არც აჯანყებას აპირებს ვინმე. წლების წინ ის საქართველოში პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს. მეოცნებეებმა მას ქვეყანაში შემოსვლის უფლება მისცეს, თუმცა, მოკლე ხანში კვლავ პერსონა ნონ გრატად შერაცხეს. ვისი თხოვნით შემოუშვეს საქართველოში შირაკ ტოროსიანი, ვინ არიან მისი თბილისელი თანამზრახველები და რას გეგმავს რუსეთი ჯავახეთში, ამ თემაზე საუბრობს გოგა ალიბეგოვი, რომელსაც ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს. 90-იან წლებში ის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდა. „ჯავახეთში რუსული პროვოკაცია ვერ განხორციელდება“ – დარწმუნებულია გოგა ალიბეგოვი.

**„ახალი თაობა“**

### უფასო დაზღვევა – დიდი ფინანსური ბლეფი თუ სერგეენკოს მენეჯერული უნიათობა?

„ოცნების“ ხელისუფლება ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად საყოველთაო ჯანდაცვას, ანუ, როგორც ხალხი ეძახის, უფასო დაზღვევას მიიჩნევს. თუმცა, საქმეში ჩახედულნი ამბობენ, რომ უფასო დაზღვევა დიდი ფინანსური ბლეფია და მეტი არაფერი.

სხვათა შორის, სპეციალისტებმა ჯერ კიდევ 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე, ანუ მაშინ, როცა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ამ თემაზე ლაპარაკი პირველად დაიწყო, თქვეს, რომ უფასო დაზღვევა ვერ გაამართლებდა, უფრო სწორად, ეს პროგრამა სახელმწიფო ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვებოდა. თუმცა, „ოცნებამ“ თავისი მაინც არ დაიშალა და ხელისუფლებაში მოვიდა თუ არა, საქართველოს ჯანდაცვა აამოქმედა. ერთი შეხედვით, კარგია, რომ მშიერმუცელა მოსახლეობა ექიმთან ვიზიტსა თუ მკურნალობა-ოპერაციებში ფულს არ იხდის, მაგრამ ხომ იცით, მედალს მეორე მხარეც აქვს. მეორე მხარე სამედიცინო დაწესებულებებია, რომელთა მფლობელებიც ამბობენ, რომ თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, შესაძლოა, საავადმყოფო-პოლიკლინიკები დაიხუროს. და ქვეყანა პრაქტიკულად სამედიცინო ობიექტების გარეშე დარჩეს.

**„პრემიერი“**

### ბარამიძე „ჟვანიას ვიდეოს“ გავრცელების მიზეზს ასახელებს

„ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატის გია ბარამიძის განცხადებით, მთავრობას პოლიტიკურად გაუჭირდა და გარდაცვლილი ზურაბ ჟვანიას ფოტოები სწორედ ამის გამო გაასაჯაროეს. საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი მთავრობას მოუწოდებს, ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ხალხის მოტყუება შეწყვიტოს. „ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების „ნაციონალური მოძრაობისთვის“ დაბრალება იმ ხალხის გათვლა იყო, ვინც საქართველოს ინტერესებს ებრძვის. ის, რომ ვიღაცამ რაღაცა დაგვაბრალა, არ ნიშნავს, რომ ფარ-ხმალი უნდა დაგვეყარა და შეგვეწყვიტა იმ საქმის კეთება, რასაც ზურაბმა შეწირა თავი“, – ამბობს ბარამიძე.

**„ალია“**

**კადრი**



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24